„მოგზაური“ წელიწადში ღირს 5 მან. ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ადრესი: თფილისი, ნიკოლოზ. ქ, № 44.

მოგზაური

ᲡᲐᲖᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

რედაქცია ღიაა ყოველ დღე: დილის 10 საათ. შუადღის 1 საათამდე, და საღამოს: 6 სათ. 7 საათამდე.

№ 14. კვირა, 17 აპრილი 1905 წლისა. № 14.

შინაარსი: მქადაგებელი.—იუდა, №-ისა.—ოფიციალური ცნობები გლეხების მოძრაობის შესახებ.—ოფიციალური განცხადებანი.—სხვა და სხვა ამბები.—კორესპონდენციები.—შინაური მიმოხილვა.—რუსეთის ქრონიკა.—საყდგომო ფანტაზია, თაგუნასი.—ჩვენი შთაბეჭდილებანი, —ლიასი.—ცნობები გურიის შესახებ.—პროლეტარიატის როლი დღევანდელი მოძრაობაში, კ. ჯ—ისა.—მემანქანეთა, მათ თანაშემწეთა, კონდუქტორთა და მეისრეთა კრება.—თფილისის პედაგოგების კრება.

მქადაგებელი.

ამ ორი ათასის წლის წინეთ, გოლგოთის მთაზე, როდესაც ქ. იერუსალიმს ცაყურებს, ებრაელების მაშინდელმა მთავრობამ სიკვდილით დასაჯა, ჯვარზე ჩამოცმით, ერთი მქადაგებელი, რომელიც იმავე მთავრობამ შემდეგი სახელწოდებით მონათლა: „იესო ნაზარეველი, მეუფე ურიათა“. ამ სახელწოდებაში გამოიხატებოდა ის დამცირება და დაცინვა, რომელსაც მთავრობა დასჯილი მქადაგებელის სახელს უცხადებდა. მაგრამ გავიდა დრო, მთავრობამ ღზომო ზიზღი დაიმსახურა და დასჯილმა, დამცირებულმა და შეურაცხყოფილმა მქადაგებელმა კი კაცობრიობის საუკეთესო ნაწილის სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა. ვინ იყო ეს მქადაგებელი? რისთვის დასაჯეს იგი ასე სასტიკათ? ვინ იყვენ ისინი, რომლებმაც იგი სიცოცხლეს გამოასალმეს?

ეს მქადაგებელი იყო უბრალო მშრომელი ხალხიდან გამოსული, შვილი იოსებისა და მარიამისა. ისინი კი, ვინც იგი დასაჯეს, იყვენ მღვდელ-მთავრები, მწიგნობარნი, ხუცესები, ე. ი. მაშინდელი მთავრობა თვისი პოლიციით და ჯანდარმებით. ყველა ესენი იცავდენ არსებულ წეს-წყობილებას, ზნე-ჩვეულებებს და სარწმუნოებას, ვინაიდან ყოველივე ეს იმათთვის სასარგებლო იყო. ხალხი კი უზომოთ იტანჯებოდა, ყოველივე ეს აწვა მას კისერზე, იგი იძულებულიყო ყოველივე ეს ეთმინა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას სასტიკი, ულმობელი სასჯელი მოელოდა მთავრობისაგან. მქადაგებელმა მოიწადინა ხალხის განთავისუფლება, მან გამოუცხადა არსებულ წეს-წყობილებას სამკვდრო-სასიცოცხლო ომი. იგი მოევლინა ქვეყანას იმიტომ, რომ ყოველივე არსებული დაენგრია და სრულებით ახალი დაეფუძნებია. „მცნებასა ახალსა მოგცემ თქუენ, რათა იყუარებოდეთ ურთიერთობას; ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ, რათა თქუენცა იყუარებოდეთ ურთიერთთარს“ (სახ. იოან, XIII, 34). ძველმა სჯულმა არ იცოდა სიყვარული, იქ ყველაფერი შურის ძიებაზე იყო დამყარებული: თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ,—აი რაში იხატებოდა მაშინდელი ზნეობა. იესომ თავის ქადაგების დაწყებისთანავე გამოაცხადა, რომ იგი მოევლინა ქვეყანას“ მახარობელათ გლახაკთა (ლუკ. IV, 18). „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-ძიმენი და მე განგისვენოთ თქუენ“ (მათეს. XI, 28). ამიტომ მის გარშემო შეიკრიბა ურიცხვი ხალხი; იგი გადადიოდა ერთი ადგილიდან მეორეში და ყოველგან ხალხს უქადაგებდა ძმობას, ერთობას და თანასწორობას. ხალხი მაშინვე მიემხრო იესოს, რადგანაც მაში დაინახა თავის მხსნელი; სამაგიეროთ მას გადაემტერენ ყველა ძლიერნი ამა ქვეყნისა. პირველათ იმათ ასეთ საშუალებას მიმართეს: მოინდომეს ხალხის თვალში მისი დამცირება, სახელის გატეხა. ვინ არის იგი, რომ რაიმე კარგის ქმნა შეიძლოს? განა იგი ღარიბ-ღატაკი იოსების შვილი არაა? ეს ის არ არის, რომლის ძმები აქ სიმშილით იხოცებიანო? განა მაგას რა უნდა შეეძლოსო? ამ ხერხმა რომ ვერ გაჭრა, მაშინ მოინდომეს მისი გამოცდა ცოდნაში, მაგრამ აქაც უმტყუნა მათ ბედმა. იესოს ზედ მიწევნით მცოდნე გამოდგა, და თავისი პასუხით იგი უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა თავის გამომცდელთ. მაშინ იესოს მტრებმა გადაწყვიტეს სრულებით მისი თავიდან მოშორება, ე. ი. მისი სიკვდილი. ამისთვის საჭირო იყო მისი შეპყრობა. მქადაგებელმა კარგათ იცოდა, რომ მას მთავრობა არ აპატიებდა ხალხის სასარგებლოთ მოქმედებას. ამიტომ მასაც არ ეძინა. იგი სიფრთხილით იქცეოდა. იესომ იცოდა, რომ მას დიდ ძალი ხალხი თანაუგრძნობდა და იგი მზათ იყო მისთვის თავიც დაედვა. ამიტომ იგი დღე არავის არ ერიდებოდა და ყოველგან თამამათ ქადაგებდა. მას ღამღამობით ეშინოდა დაჭერის და შეპყრობის, რადგანაც მთავრობა ასეთ კაცს მხოლოთ ღამე იჭერს და მეორეც ისა, რომ ღამე იგი მარტოთ მარტო რჩებოდა. მაგრამ იესომ მაინც იცოდა, რომ ადრე იქნებოდა თუ გვიან მას დაიჭერდენ და სიცოცხლეს გამოასალმებდენ. ამიტომ იგი ამზადებდა თავის მოწაფეებს, რომ მისი მოძღვრება გაევრცელებიათ, როცა იგი უკვე აღარ იქნებოდა. იგი არ უმალავდა იმათ, რომ ამისათვის ისინი იქნებიან დევნილი და წამებული: „ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყუედენ ხორცნი, ხოლო სულისა ვერ ხელეწიფების მოკლად (მათ. X, 28). იესო უწყოდა, რომ ახალი მოძღვრება, რომელსაც იგი ქადაგებდა, ვერ განხორციელდებოდა ძველი წესწყობილების ფარგალში: „არავინ შეასხის ღვინო ახალი თხიერთა ძველთა, რათა არა განხეთქნეს ღვინომან ახალმან თხიერნი, და ღვინო დაითხიოს და თხიერნი წარწყმედენ. არამედ ღვინო ახალი თხიერთა ახალთა ჯერ არს შეასხმად. (ლუკ. V, 37—38). იესოს მოძღვრების განსახორციელებლათ საჭირო იყო არსებული წესწყობილების დანგრევა და ახლის შექმნა. ეს კი მოითხოვდა ბრძოლას, რაც კარგათ იცოდა თვით მქადაგებელმა. იგი მოელოდა ამას და ასე ასწაელიდა თავის მოწაფეებს: „რაჟამს გესმოდენ ბრძოლანი და ამბაჲნი ბრძოლათანი, ნუ შესძრწუნდებით, რამეთუ ჯერ არს ესე ყოფად, რამეთუ აღსდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა, და მეუფებაჲ მეუფებასა ზედა. და იყვენ ძვრანი ადგილ-ადგილ, და იყვენ სიყმილნი და შფოთნი. ესე ყოველი დასაბამი სალმობისა არს. ხოლო ეკრძალენით თქვენ თავთა თქვენთა, რამეთუ მიგცემდენ თქვენ შესაკრე-

ბელთა და კრებულთა შორის გტანჯვიდენ თქვენ და წინაშე მეუფეთა და მთავართა წარსდგეთ ჩემთვის საწამებლათ მათდა... და იყვნეთ თქვენ მოძულებულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათვის. ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხოვნდეს“ (მარკ. XIII, 7—13). ამასობაში მღვდელ-მთავარნი, მწიგნობარნი და მთავარნი ყოველ ღონისძიებას ხმარობდენ, რომ რაიმე ნაირათ იესო შეეპყრათ და მოეკლათ. მაგრამ რადგანაც იცოდენ, რომ ხალხს უყვარდა თავის მოძღვარი, ისინი ამისათვის საიდუმლოთ ემზადებოდენ, ვინაიდგან ეშინოდათ ხალხის ამბოხების და შფოთის. იმათ უნდოდათ იესოს ჩუმათ შეპყრობა. ამ მიზნით იმათ მოიყიდეს იესოს ერთი მოწაფეთაგანი, იუდა, რომელიც ამნაირათ შეიქნა თავისივე მოძღვრის მოღალატე და გამცემელი. ერთ საღამოს გეთსიმანიის ბაღში, სადაც იესო მარტოთ მარტო მიცემოდა ღრმა ფიქრებს, მასთან მივიდა იუდა ისკარიოტელი, ერთი მისი მოწაფეთაგანი და მასთან პოლიცია და ჯანდარმები, წარგზავნილი ღვდელმთავართა, მწიგნობართა და მთავართაგან, შეიარაღებული წარებითა და მახვილებითა. „მათ დასხნეს მას ზედა ხელნი და შეიპყრეს იგი“. ეს იყო ერთ და იმავე დროს ძალმომრეობაც და სილაჩრეც მთავრობის მხრით. რაც ვერ მოეხერხებიათ დღე, იგი შეასრულეს ღამე. იესო იძულებული იყო დამორჩილებოდა ამ ძალმომრეობას, გარეგან ფიზიკურ ძალას, მაგრამ შეუძლებელი იყო, რომ ამ გარემოებას იგი არ აღეშფოთებია; და მან აღელვებულმა წარმოთქვა: „ვითარცა ავაზაკსა ზედა გამოხვედით თქვენ მახკილითა და წათებითა შეპყრობად ჩემდა. დღითი დღე ვიყავ მე თქვენ თანა ტაძარსა მას შინა და არა განყავით ხელი ჩემ ზედა. არამედ ესე არს ჟამი თქვენი და ხელმწიფება ბნელისა“ (ლუკ. XXII, 52—53). ამნაირათ ასეთი საზიზღარი საქმის ჩადენა შეეძლოთ მხოლოთ ღამე, ბნელაში, და ეს დღესაც ასეა. შეპყრობის შემდეგ იესო წაიყვანეს მღვდელმთავრის სახლში. იქ უნდა ეწამებიათ იგი, ეშოვნათ ცრუ მოწამენი და შემდეგ სიკვდილით დაესაჯათ. სანამ სიკვდილით დასჯიდენ, მისთვის არ დაუკლიათ არავითარი დამცირება და შეურაცყოფა: იმას ცემდენ, პირში აფურთხებდენ, აცმევდენ სხვა და სხვა ტანსაცმელს და ბოლოს ეკლის გვირგვინიც დაადგეს თავზე. დასასრულ იგი ჯვარს აცვეს. მაგრამ იესოს მტრებმა დაიმორჩილეს ხმოლოთ მისი სხეული, მისი ხორცი. რაც შეეხება მის სულს, მის მოძღვრებას, მათ არ ძალ ედვათ მისი დამორჩილება, მათ განკარგულებაში არ იყო ამის აღმოფხვრა. საზოგადოთ მიღებულია, რომ ამა ქვეყნის ძლიერთ, გაბატონებულ წოდებათ თუ კლასებს ჩვეულებათ აქვთ თავის საწინააღმდეგო მოძღვრების ჩასაქრობათ და მოსასპობათ, ამ მოძღვრების მაღიარებელნი და მიმდევარნი შეიპყრან და დასაჯონ. მათ ვერ შეუგნიათ იესოს სიტყვები: „ნუ გეშინინ მათგან (ე. ი. მოავრობისაგან), რომელთა მოსწყვიდენ ხორცნი, ხოლო სულისა ვერ ხელეწიფების მოკვლად. იესოს მოძღვრება ვერ მოსპეს მით, რომ მისი დამფუძნებელი სასტიკათ აწვალეს, დატანჯეს და მოკლეს. თვით მოძღვრებისათვის ეს უფრო სასარგებლო შეიქნა. იესოს მოძღვრება ქრისტიანობის სახელით ჩქარა გავრცელდა იმათში, ვინც დაჩაგრული, შეწუხებული და დაბეჩავებული იყო. ქრისტიანობა მალე მოედვა ქვეყნიერებას. იგი შეიქნა. განსაკუთრებით ღატაკთა, გლახაკთა, მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა სარწმუნოებათ. მაგრამ გავიდა ხანი და ქრისტიანობამაც იცვალა ფერი; ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ეს სარწმუნოება მიიღეს ძლიერებმან ამა ქვეყნისამ. საუკუნოების განმავლობაში იესოს მოძღვრება სრულებით შეცვალეს და გადააშახინჯეს.

ᲘᲣᲓᲐ.

იუდას სახე, ბნელი სახე თვალთ წინ გვიდგია. მისი სახელი დაღ-დასმული და საზიზღარი ყველას ჟვალ-ხებს. ანგარებით გატაცებულმა ოცდა ათ ოქროთ როგორ გასცა თავის მოძღვარი და წრფელი გრძნობა, სიყვარული ფულს ანაცვალა.

მღვდელთ-მთავართაგან მოყიდულმა, ცრუ ამბორებით მეფის ჯალათებს მისცა ხელში მასწავლებელი და ჯვარზე აცვეს ხალხის შვილი, ჩაგრულთ იმედი—აწამეს როგორც «ბოროტების» მქადაგებელი.

მოკვდა იესო ჯვარზე ცმული! იუდაც მოკვდა! ორიველს დარჩათ თანამგრძნობი და მიმბაძველი: ხშირია მოძმის გულისათვის თავ დადებული; ხშირია ფლიდი მოღალატე და გამცებული.

აგერ, შეხედეთ ახალგაზრდა კოხტა ჰაბუკი!.. წკერ მოპარსული და ულვაშებ ამოვანებული ტკბილათ საუბრობს. იღიმება, გვეალერსება... ვინ რას იფიქრებს თუ მის გულში ეშმაკი ბუდობს? თუ ტკბილი სიტყვით ვაჭრობს იგი ზნე დაცემული? არავინ ენდოთ... მოძმისათვის გული არ სტკივა—ის ჯაშუშია, მოღალატე და გამცემელი.

აგერა კიდევ ახალგაზდა ჭალი-ქალწული! უმანკო სახით, ანგელოზებრ სათნო და ნაზი... „ჭიანჭკელასაც არ გაჭყლეტსო“ იფიქრებს კაცი, მაგრამ შეკდება. იმის გულში ბუდობს სატანა და სასახელო, სატრფიალო ცხოკრების საგნათ გამოუსახავს დაბეზღება, ენის მიტანა. ანგარებისთვის თრთოლავს მისი გული და ხელი—ის ჯაშუშია მოღალატე და გამცემელი.

აგერ მოძღვარი, ღრმა მოხუცი, წელში მოხრილი. სპეტაკი წვერი სახეს უმკობს მკერდზე დაყრილი. სულ „მოხრილებას“ უქადაგებს საყვარელ სამწყსოს, ლოკკის დროს თვალებს ზეცად აპყრობს და გეკონება თვით მეუფესთან ბაასობსო. შეცდები მწარეთ, იმის გულში ღვარძლი თესია. არ ენდოთ მოძღვარს ფარისეველს უკეთესია. მისი ღაღადი, თვალთ მიბნედვა, ტკბილი ღიმილი—თვალთ-მაქცობაა, თქვენს წინ დგას იუდას შვილი, მღვდელი-ჯაშუში, მოღალატე და გამცემელი.

აი აქ კიდე, ხედავთ თავდს თავის ამქრებთან; ბეჭებს რომ არხევს იარაღით მთლათ შეჭურვილი! ვინა გგონიათ?-შპიონია თანამედროვე ჩამომავლობით გამცემელი, იუდას შვილი!

აღსდგა იესო და დათრგუნა იუდას მცნება!

დღეს ხალხი აღსდგა და „ჯაშუშებს“ მოევლინება, ძლიერი რისხვა, ხალხის რისხვა!.. ძრწოდეთ მაცდურნო!

N

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

(„კავკაზ“ № 92)

თელავის მაზრაში მოძრაობის შესახებ ამ ბოლო დროს შემდეგი ცნობებია მიღებული:

28 მარტს სოფელ ურიათუბნის გლეხებმა თავი მოიყარეს სასწავლებლის ეზოში, აიძულეს მღვდლები ფიცი ჩამოერთმიათ მათთვის, დაადგინეს: დახურონ სასოფლო სამმართველო და სასწავლებელი; დააწესეს გადასახადი მღვდლების სასარგებლოთ კომლზე ყოველ წლივ სამ-სამი მანეთი; გადააყენეს ტყის მცველები (ობიეზდჩიკები) ტყის დარაჯები, ჩამოართვეს მემამულეთ ხელწერილი იმის შესახებ, რომ მათი მამული გლეხებს ეკუთვნის, დაადგინეს:—ყველამ წოდებათა განურჩევლათ, მიიღოს მონაწილეობა საზოგადო მუშაობაში, უფასოთ ისარგებლონ ტყეებითა და საძოვრებით,

სავაჭრო პატენტი არ აიღონ, სააქციზო ბაჟი არ გადაიხადონ არაყის გამოსახდელად და არ გადაიხადონ საავადმყოფოს ფული.

გლეხებს არავითარი ძალა არ უხმარია და დაიშალენ. 30 მარტს სოფელ წინანდლის გლეხები მივიდენ დილით საუფლისწულო მამულში, გამოიწვიეს კრებაზე ყველა მუშა, ხელოსანი და მოსამსახურე. ვინც არ გამოვიდოდა, გადაწვასა და დასჯას ემუქრებოდენ. ცეცხლი წაუკიდეს თავად სულხან გიორგის ძის ჭავჭავაძის ტყეს, საიდანაც ცეცხლი მოედვა საუფლისწულო ტყეს, მაგრამ დროზე ჩააქრეს. მეორე დღეს თავი მოიყარეს სოფ. ვანთის, ბუშათის, ქვემოხოდაშენის და წინანდლის გლეხებმა, რიცხვით ორ ათასამდე კაცმა, ააფრიალეს ორი წითელი დროშა, შეფიცეს ერთმანეთს ერთობა, მივიდენ წინანდლის სასოფლო სამმართველოსთან, გამოიტანეს გარეთ ხელმწიფე იმპერატორის სურათი, დაკეტეს სოფლის სამმართველო. ჩამოართვეს სოფლის მოხელეებს ნიშნები და უბძანეს, ჩვენ საქმეში ნუღარ გაერევითო.

ამის შემდეგ ხალხი მიუახლოვდა საუფლისწულო მამულის რკინის კარებს, სადაც დაუხვდა ამ მამულის გამგე ნ. ვ. კუროედოვი, და მუქარით მოთხოვეს პირობაზე ხელი მოეწერა, რაიცა მან აასრულა. ამის შემდეგ ხალხი „ურა“-ს ძახილით გაემართა სოფ. ქვემოხოდაშენსა, ბუშათსა და ვანთისაკენ, სადაც პირობაზე ხელის მოწერა მოთხოვა მემამულეებს.

კავკასიის მთავარ-მართებლის განკარგულებით თელავის მაზრაში გაიგზავნა კავალერიის რაზმი.

ოფიციალური გამოცხადება.

(„კავკაზი“ № 93, 94).

I

ბრძანება ტფილისში დაბანაკებულ არმიისადმი.

გაზეთ „ივერია“-ში (№ 48) დაბეჭდილი იყო ცნობა, ვითომ ოლქის ჯარების უფროსის მოადგილეს ჯარებისათვის ებრძანებინოს, ქუჩაში მომხდარ არეულობის დროს იარაღი არ იხმაროთო. ეს ცნობა უსაფუძვლოა. ამიტომ, ოლქის ჯარების უფროსის ბრძანებით, მომყავს უკანასკნელი სიტყვები ჯარების უფროსის ცირკულიარულ განკარგულებისა, 1903 წლის 11 მარიამობისთვის თარიღით: «თუ მიღებული ზომები მიზანს ვერ მიაღწევს და წესიერება აღდგენილი არ იქნება, სამჯერ უნდა გააფრთხილოთ, რომ იარაღს იხმართ, და თუ უწესოება, მაინც არ მოისპობა და იარაღის ხმარება საჭირო იქნება ჰაერში კი არ უნდა გაისროლოთ, უნდა ესროლოთ პირდაპირ უწესოების ჩამდენლებს, ან ცალ-ცალკე, ან ერთათ გარამოებისა დაგვარათ».

ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ ბრბო ვისმე დაეცემა, გაცარცავს, ან გადასწვავს, ჯარებმა იარაღი უნდა იხმარონ უფროსის ნების და გარემოების დაგვარათ.

ვინც ამ ბრძანებას არ აასრულებს, კანონით სასტიკათ დაისჯება. ხელს აწერს: თბილისის კომენდანტის მოადგილე გენერალ-მაიორი ტიმოფეევი.

II.

გაზეთ „ცნობის ფურცლის“ მე-2794 ნომერში მოთავსებულია შენიშნვა იმის შესახებ, რომ კავკასიის ნამესტნიკის თანამდებობის აღმასრულებელის გენერალ მალამას მიერ «კავ.»-ში დაბეჭდილია ამ საეკლესიო დადგენილების გაუქმების შესახებ, რომელიც შეეხება თბილისში იარაღის ტარების აღკრძალვას *).

როგორც ჩანს კავკასიის უმაღლესს მთავრობის განკარგულება სწორეთ ვერ გაუგიათ. გაზეთ «კავკაზ»-ის მე-91 ნომერში მართლაც გამოქვეყნებული იყო გენერალ-ლეიტენანტ მალამას მიერ გაძლიერებულ დაცვის წესების ძალით, 8 მდგომარე აპრილს დაბეჭდილი საეკლესიო დადგენილება იარაღის ტარების, შენახვის და ვაჭრობის აღკრძალვი შესახებ. ეს საეკლესიო დადგენილება—გამოცემულ იქნა ნაცვლათ თბილისის გუბერნატორის მიერ ამავე საგნის შესახებ გამოცემულ საეკლესიო დადგენილებისა. განსხვავება ამ ორ დადგენილების შორის მხოლოთ ის არის, რომ სხვა და სხვა წესია დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემისა. გუბერნატორის საეკლესიო დადგენილებათა ძალით, დამნაშავეთა პასუხის გებაში მიცემა შეიძლება სასამართლოს წესით, ამასთან უდიდესი ჯარიმა 25 მანეთს არ აღემატებოდა. ნამესტნიკის თანამდებობის აღმასრულებელის მიერ გამოცემულ საეკლესიო დადგენილებათა ძალით-კი დამნაშავენი დაისჯებიან ადმინისტრატიულ წესით, როგორც ამას გაძლიერებულ დაცვის კანონები მოითხოვს, ამასთან ასეთი დამნაშავენი შეიძლება დაჯარიმებულ იქნენ 500 მანეთამდე ან დაპატიმრებულ იქნენ სამ თვემდე.

ამ რიგათ აკრძალვა იარაღის ტარებისა, შენახვისა და გაყიდვისა იმათთვის, ვისაც ამის უფლება არა აქვთ, არა თუ გაუქმდა, პირიქით, რეპრესია ამ ჟამათ უფრო გაძლიერდა.

სხვა და სხვა ამბები.

უმაღლესი უქაზი მმართებელ სენატს: მიმდინარე წელს სახელმწიფოს ზოგიერთ ადგილებში გლეხ-კაცობამ არეულობანი მოახდინა, დაანგრია და დაძარცვა მემამულეთა კარ-მიდამო, სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი და მოძრავი ქონება. ყოვლად შეუძლებელია საქონებო უფლებების აგეთი ბოროტ-განზრახვითი დარღვევა, ვინაიდან ყოველივე კერძო საკუთრება ხელ-უხლებელი უნდა იყოს და მთავრობის ყველაზე უპირველესი ვალდებულებაა მისი დაცვა უკანონოთ შეხებისაგან; ამასვე მოითხოვს საზოგადოებრივ ცხოვრების წარმატება მშვიდობიანობისა და სიწყნარის გზაზე. რათა ხალხი უკეთესათ დარწმუნდეს, როგორც კერძო საკუთრების ხელ-შეუხებლობას, აგრეთვე იმას, რომ ყველა, ვინც სხვის ქონებას ხელს ახლებს, სასტიკად იქნება დასჯილი და ქონებრივ პასუხის გებაში იქნება მიცემული, ჩვენ ბრძანებას ვცემთ: ა) მიენდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაარსოს, რომელ მაზრაშიც საჭირო იქნება, დროებითი სამაზრო კომისიები მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლების თავმჯდომარეობით; ამ კომისიაში მევლენ სამაზრო საერობო გამგეობების თავმჯდომარენი, მაზრების ისპრავნიკები, საერობო უფროსები და სახარკო ინსპექტორები, რომელთა მაზრებში მოძრაობა მოხდა და აგრეთვე მოპატიჟებულ იქნებიან სამაზრო ერობის კრების ის ერთი, ან ორი ხმოსანი, რომელნიც ცხოვრებენ არეულობის ადგილთან ახლოს; ბ) მიენდოს ზემოხსენებულ კომისიებს, გამოიძიონ, თუ ვინ იღებდა მონაწილეობას გლეხების მოძრაობაში და გამოიანგარიშონ, რამდენი ზარალი მიაყენეს გლეხებმა მემამულეებს, რომ ყველა ზარალი, მოძრავ თუ უძრავ საქონლებისა გადახდეთ იმ სოფლების ყველა გლეხ-კაცობას, რა სოფლებშიაც საწინააღმდეგო მოძრაობა იყო; გ) მიენდოს შინაგან საქმეთა მინისტრს, უჩვენოს ზემოხსენებულ კომისიებს, თუ როგორ უნდა იმოქმედონ მათ და აგრეთვე გაგზავნოს მინისტრისაგან საგანგებოთ დანიშნულნი პირნი, რომელთაც ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ კომისიებს; დ) მიენდოს შინაგან საქმეთა მინისტრს, შეიწუშაოს

იმის პროექტი, თუ რა გზით შეიძლება განხორციელდეს მეორე პუნქტში ნაჩვენები ზომები და დაზარალებულთა დაკმაყოფილება; აგრეთვე საკითხი იმ მემამულეთათვის, რომელთაც საკუთარი ძალა არ შეწევთ მიაკეთონ თავიანთი მინგრეული კარმიდამო და ოჯახი: ხსენებულმა მინისტრმა შეიმუშაოს ყველაფერი ეს, იუსტიციისა და ფინანსთა მინისტრებთან მოლაპარაკებით და შემდეგ, მინისტრთა კომიტეტის ხელით, წარმოადგინოს ჩვენდა დასამტკიცებლად. მართებელმა სენატმა მოახდინოს ამის შესრულებისათვის საჭირო განკარგულებანი". ნამდვილზე საკუთარ ხელმოწერილია: „ნიკოლოზ". ცარსკოე სელო, 1905 წ. 10 აპრილი.

—

ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს თავ. ჯამბაკურიან-ორბელიანს შემდეგი განცხადება გაუცია: იმ სოფელმა, საცა სკოლა და კანცელარია გადაიწვა, 2 თვის განმავლობაში ახალი შენობები უნდა ააგოს. თუ ვინმე კერძო კაცის შენობაა გადამწვარი, მაშინ სოფელმა შენობის ფასი უნდა უზღოს დაზარალებულს; სადაც ამ განკარგულებას არ აასრულებენ, სოფელი 3000 მანათს გადაიხდის ჯარიმაზედ.

—

გორის და დუშეთის მაზრაში ვერ შეუდგენიათ გასაწვევ ჯარის კაცთა სია, რადგან საჭირო ქაღალდები კანცელარიასთან ერთათ გადაუწვავთ გლეხებს. მაზრის უფროსები თხოვენ თფილისის გუბერნატორს შეატყობინოს როგორ მოიქცეს.

—

6 აპრილს დილის $9^1/_2$ საათზე აბაშასა და ახალ-სენაკს შუა აელოთ ერთი რელსი, როცა მატარებლით აბაშაში შეპყრობილი აგიტატორები უნდა გაეტარებიათ. მემანქანემ დროზე შეაჩერა მატარებელი.

—

7 აპრილს თფილისში მოიყვანეს ერთი ნაწილი ყაზახრუსთა ჯარისა, რომელიც ბათუმში ჩამოუყვანიათ რუსეთიდან.

—

7 აპრილს ბაქოს გუბერნატორის განკარგულების თანახმათ შეიპყრეს 400-მდე გაფიცული მექანქანეები და მათი თანაშემწეები. დაპატიმრებულებმა თანხმობა განაცხადეს მუშაობის განახლებაზე. ბაქოდან ორი მატარებელი წამოვიდა. როცა მოსამსახურეები და დეპოს მუშები გამოვიდენ, გააცხადეს, რომ მუშაობას არ დავიწყებთ, სანამ დაპატიმრებულ ამხანაგებს არ გაანთავისუფლებთო. ამ გადაწყვეტილებას მემანქანეებიც მიემხრენ.

—

სვანეთში თავად გადრაფხაძეებს მოუკლავთ თ-დი შამშე გელოვანი, რადგან უკანასკნელი გლეხების მოძრაობაში იღებდა მონაწილეობას. ხალხი ძალიან აღელვებულია ამ მკვლელობის გამო.

—

ჟურნალისტების კრება უკვე გათავებულა პეტერბურგში. კრებას ჟურნალისტთა კავშირის დაარსება გადაუწყვეტია.

—

რაჭის, შორაპნის, ქუთაისის, ოზურგეთის და სენაკის მაზრებში მიწის დამმიჯნელი კომისია ხალხს არ მიუღია.

—

გენ. ალიხანოვ-ავარსკის მიერ შეპყრობილ ოზურგელებს რუსეთში გადასახლება მიუსაჯეს: ექიმს გიორგი ჭოლოშვილს, ალექსანდრე წუწუნავას და სიმონ ღლონტს სამარის გუბერნიაში; თედორე კიკვაძეს, სამსონ ვაშაყმაძეს და ისაკი საბაშვილს ყაზანის გუბერნიაში. ახლა ხმა გავრცელდა, რომ ამ პირებს აღარ გზავნიანო.

როგორც ამბობენ, მთავრობა განთავისუფლებას უპირებს პოლიტიკურის და სარწმუნებრივი ხასიათის დამნაშავეებს. ამნისტია აღდგომის ღამის უნდა მოახდინონ.

—

კავკასიის ნამესტნიკი გასულ აპრილს აპირებს გამომგზავრებას. ჯერ-ჯერობით გამოუჯავნიათ ორი ვაგონი ცხენები და ეტლი.

—

8 აპრილს ბაქოს სადგურის მუშები და ხელოსნები შეუდგენ მუშაობას იმ პირობით, რომ დაუყონებლივ მიეცეთ ფული.

—

სად. მიხაილოვის მემანქანეები შეუერთდენ თფილისის მემანქანეთა მოთხოვნილებებს. მუშაობა შეწყვიტეს. 8 აპრილს 1000-მდე კაცი შევიდა სატელეგრაფო განყოფილებაში და დაითხოვა ტელეგრაფისტები.

—

ქ. სარატოვში 9 და 10 აპრილს რესტორანების აფიციანტები გაიფიცენ. მოთხოვნებს უფრო ეკონომიური ხასიათი ჰქონდა. პოკროვსკის სლაბოდაში ათასზე მეტი გემის დამტვირთავი გაიფიცა და ხელფასის გადიდებასა და ჯარადრების გაძევებას თხოულობენ.

—

13 აპრილს მოხდა თფილისის პედაგოგების კრება, რომელზედაც მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება.

ჩვენ, ქ. თფილისის პედაგოგები, მრავალ წლების განმავლობაში უდრტვინველათ ვიზიარებდით ბიუროკრატიულ წეს-წყობილების საზარელ ტვირთ ქვეშ, იმ წეს-წყობილების, რომელმაც წაგვართვა ჩვენ და, ჩვენი ზეგავლენით, მრავალ ათას ახალგაზრდებსაც პიროვნება.

ახლა, როცა დადგა საერთო განახლების ჟამი, ხმა-მაღლა ვაცხადებთ, რომ ჩვენი მოთმინების ფიალა აივსო; აღარ ძალგვიძს ამის შემდეგ უწინდელათ მონური სამარცხვინო ცხოვრება. ჩვენი აზრი და გული ეგრეთ წოდებულ განათლების სამინისტროს ქალაქდის ბრძანების მორჩილათ გამხდარა. ჩვენ მოვითხოვთ, რომ თითონ ჩვენვე ვიყოთ პასუხის მგებელი წინაშე ახალ გარდა თარბისა, რომელიც ჩვენი ხელმძღვანელობის ქვეშ იზრდება. დროა გაგვანთავისუფლონ სანიმუშო პროგრამა-გეგმებისაგან და მათ განმარტებითი დამატებისაგან. დროა განგვათავისუფლონ გულთა მხილავ მზრუნველებისაგან და დირექტორ-ინსპექტორებისაგან. გაგვანთავისუფლონ ყოველ გვარ ბიუროკრატიებისა და ბიუროკრატების მოკლილ ფანტაზიის სხვა ამ ნაირ გამოგონებათაგან. დროა მოგვცენ თავისუფლება თავისუფლსა და წმიდა აღზრდის საქმეში. ჩვენ, პედაგოგებს თლათ არ დაგვიკარგავს ღვთიური სახე, თუმცა რკინის ბრჭყალებში ვიხრჩობით, მარა ჯერ კიდევ შეგვრჩენია აზროვნება და გრძნობიერება და შეგვიძლია ცოცხალი სული ჩავბეროთ ახლანდელ უსიცოცხლო სკოლის გვამს. ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვართ, რომ ვერავითარი კერძო რეფორმები, რაც უნდა ლიბერალური ხასიათი ჰქონდეს მათ, ვერ გააცოცხლებენ მკვდარს, ვერ დაუბრუნებენ მას სიცოცხლის ნიშს, მხოლოთ ნახევართ ცოცხალ ორგანიზმათ აქცევენ მას, და ასეთი ორგანიზმი კი ისევ მალე დაჭლექდება და დაილევა. მ-რა ამასთანავე ჩვენ გვწამს, რომ სკოლის საქმეში ძირითადი რეფორმების მოხდენა შეუძლია მხოლოთ თავისუფალ რუსეთს, რომლის სვე-ბედი ჩაუვარდება ხელში ხალხის მიერ საერთო, ფარული, თანასწორი, პირდაპირი კენჭის ყრით არჩეულ პირებს განურჩევლათ ეროვნებისა. ასეთ არჩევნებს კი, მაშინ მოყვება სასურველი ბოლო, როცა უზრუნველყოფილი

იქნება სიტყვის, ბეჭდვის, კრებების, აგიტაციის პიროვნების და ბინის სრული თავისუფლება და პოლიტიკურ დამნაშავეთა ამნისტია.

—

თფილისის სავაჭრო სკოლაში ეგზამენები დასრულდა და სწავლა გაათავეს სულ 23 მოწაფემ. ამათში 11 სომეხია, 1 რუსი, 1 ებრაელი და 10 ქართველი: დ. ბერეჟიანი, ს. გოცრდელაძე, მ. ერქომაიშვილი, მ. სულუხია, მ. თოიძე, მ. თოხაძე, ვ. ნანობაშვილი, კ. ცისკარიძე, ბ. ჰავჰანიძე და ლ. ჩხენკელი.

—

თფილისის გუბერნატორი აცხადებს: ვინაიდან ორშაბათს, 11 აპრილს დაიწყო მოსამსახურეთა გაფიცვა, ამით ეცნობება იმ პირთ, რომელთაც სამსახურს თავი მიანებეს, რომ ბევრი იმათგანი, ვინც მუშაობის მომხრეებს ხელს უშლიდა და ემუქრებოდა, მთავარმართებლის თანაშემწის განკარგულებისამებრ უკვე დაატყვევეს.

რადგანაც არავის არა აქვს უფლება ძალადობით და მუქარით ხელი შეუშალოს იმ მოსამსახურეებს, ვისაც მუშაობა სურს, გაფიცულებს ამით ვაფრთხილებ, რომ ამ მხრივ დამნაშავენი მომავალშიაც ისე დაისჯებიან, როგორც აქამდის, ხოლო იგინი, ვინც დაჟინებით დაუშლიან ამხანაგებს მუშაობას, გაიგზავნებიან ქალაქიდან.

—

11 აპრილს **თფილისში გაიფიცენ რესტორანების,** სასტუმროების, კერძო ოჯახების ლაქიები, მზარეულები და ხელზე მოსამსახურენი. ამათ თავიანთი მოთხოვნილებანი წარუდგინეს პატრონებს. 11, 12 აპრილს თითქმის არც ერთი რესტორანი არ იყო ღია. კერძო სახლებშიაც თვითონ დიასახლისებს მოუხდათ სადილ-ვახშმის მზადება. 11 აპრილს, ამ გაფიცვის გამო თფილისში დაუპატიმრებიათ 60 კაცი: ლაქიები მზარეულები და სხვა. ყველანი თავიანთ სოფლებში დაუგზავნიათ. ლაქია-მზარეულებს უნდათ საერთო კრება გამართონ თავიანთ გაჭირვებულ მდგომარეობაზე პოლიციასთან სალაპარაკებლათ, მაგრამ ვერსად ვერ მოახერხეს, რადგან პოლიციამ ნებას არ აძლევს.

—

11 აპრილს თფილისის ქალაქის მოურავის თანდასწრებით უსახელო საზოგადოების წარმომადგენელს მოლაპარაკება ჰქონდა **ტრამვაის მოსამსახურეებთან** შესათანხმებლათ, მაგრამ შეთანხმება მაინც ვერ მოხერხდა, რადგან გრიშანისი კიდევ ვადათ ითხოვს 15 დღეს, რათა ბრიუსელში გამოელაპარაკოს საზოგადოებას. წარმომადგენლებმა განაცხადეს, 9 დღეში შეგეძლოთ დეპეშით ყველაფერი მოგეხერხებიათ და რადგან ჩვენთვის თავი არ შეიწუხეთ, მუშაობა ალარ შეგვიძლიანო. 12 აპრილს კიდევ ქონდათ მოლაპარაკება და რადგან, კიდევ ვერ შეთანხმდენ, 13 აპრილს შეწყდა ტრამვაის მოძრაობა.

—

ამ რამდენიმე წლის წინეთ ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხნის მუშებმა საერთო საქმისათვის გაიწერეს ფული. შეგროვილ თანხიდან მუშებს უნდა ესარგებლათ გაჭირვების დროს. შეიკრიბა 12,000 მანეთამდე. ბოზარჯიანცმა ეს ფული დაიჭირა და მუშები იძულებული გახდენ მთავრობისთვის მიემართათ შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით, აღნიშნული თანხა მუშებს (ასე 150 კაცს) დაუბრუნდა. კვირას მუშები შეიკრიბენ ალექსანდრეს ბაღში და მოილაპარაკეს როგორ მოიხმარონ დაბრუნებული ფული. მაგრამ პოლიციამ გაფანტა შეკრებილნი. გუშინ მუშებმა თხოვეს ქალაქის მოურავს, რადგან არსად არ შეგვიძლია შევიკრიბოთ, გვიშვამდგომლეთ საბეჭოს დარბაზი დაგვეთმოსო. ქალაქის მოურავმა აღუთქვა დახმარება.

—

მოსკოვის გუბერნატორმა გამოუცხადა მოსკოვის საგუბერნიო საერობო გამგეობის თავმჯდომარეს, რომ საერთო საერობო კრება, რომელიც უნდა მომხდარიყო მოსკოვში 22 აპრილს, ნება დართული არ არისო.

—

წალენჯიხიდან გვწერენ: ადგილობრივი ბოქაულის განკარგულებისამებრ თითქმის ყველა კორესპონდენციებს რომელიც აქაურების სახელზე მოდის ფოსტით, აგრეთვე გაზეთებსაც—იჭერენ და დანიშნულებისამებრ არ არიგებენ: სანამ სოფლებში მყუდროება არ დამყარდება, მანამდისინ გაზეთებს ვერ წაიღებთ, რადგან მათი წყალობით უწესოება მატულობსო.

—

კერძო სახლებში ხელზე მოსამსახურეთა (მზარეულების, ლაქიების, ძიძების—ორივე სქესის) **მოთხოვნები:**

1. რვა საათის სამუშაო დღე.

2. ჯამაგირის მომატება 50% იმათთვის, ვინც თვიურათ 5—10 მანეთს იღებს და 20% დანარჩენებს.

3. სუფთა ბინა, ორი თავი საჭმელი და დილა-საღამოს ჩაი.

4. თუ მოსამსახურეს უნდა სამსახურის თავის დანებება, ორი კვირით ადრე უნდა აცნობოს ალას. ხოლო ალამ ორი კვირით წინ და წინ უნდა მიცეს ერთი თვის ჯამაგირი.

5. ალათ გამხდარი მოსამსახურე ერთი თვის განმავლობაში უფასო ექიმით უნდა სარგებლობდეს და ჯამაგირიც შეენახოს ამ ხნის განმავლობაში.

6. მოსამსახურე უნდა იყოს ალის ხარჯზე და სამუშაო ტანისამოსიც მისგან ეძლეოდეს.

7. მოსამსახურე არ არის ვალდებული ბაზრიდან წამოიღოს 20 გირვანქაზე მეტი სიმძიმის სანოვაგე; ხოლო ქალმა 10 გირვანქაზე უმძიმესი.

8. მოსამსახურე თავისუფალი უნდა იყოს პირველ მაისს და ყველა დღესასწაულებში.

9. დამჭირავებელი პატივისცემით უნდა ეკიდეოდეს მოსამსახურის პიროვნებას.

10. წელიწადში ერთი თვე თავისუფალი, მაგრამ ჯამაგირის გამოურიცხავათ.

11. მოსამსახურეს არ გადახდეს გატეხილი ბურჟლის ფასი.

12. ალას არ ქონდეს უმიზეზოთ მოსამსახურის დათხოვის ნება. წინააღმდეგ შემთხვევაში მან უნდა გადაიხადოს ერთი თვის ჯამაგირი.

13. მოსამსახურე ქალების ხვეობა არ უნდა ილახებოდეს ალების თვითნებობისაგან.

14. არ გამოირიცხოს მსახური გაფიცვის ან პოლიტიკური დანაშაულობისათვის.

15. ათი წლის სამსახურის შემდეგ მოსამსახურეს უნდა ეძლიოს პენსია, (მეოთხედი ჯამაგირისა) იმ შემთხვევაში, თუ ის არ იხნებს მასთან სამსახურს.

16. მოსამსახურე თავისი მოვალეობის შესრულების შემდეგ თავისუფალი იყოს.

კორრესპონდენცია

ლეჩხუმი. არ იქნა და ვერ დაიდგა ხალხმა თავი ათას გვარ შემაფერხებელ, გამათხსირებელ, მიწასთან გამასწორებელ უსამართლობასა და უდაერ მოქცევას. ამის დასამტკიცებლათ არა ერთი და ორი მაგალითი მოვყვანიდა ადგილობრივ და სხვა ჟურნალ-გაზეთებშიაც, მაგრამ მეტი არ იქნება აქაც გავატანო მკითხველი სახოგადოება ერთ ასეთ შემთხვევას.

2 ამ აპრილს აქეთ ამოიარეს დ. ონში მამაკაცმა 60-დე კაზახ-რუსმა ერთის ათეტრის უფროსობით. პირველი დამე ამ მო-

გზაურობაში მექვნის სოფისტო სიდგურზე გაეთიათ. იქ ბ. ათიცერს ვახშამი მიერთმია და ჩვეულებისამებრ თვისისა რაგზედაც გამოელენთიდეო დვინით, რის წყალობით თავის გულის ნადები ფიქრები აშკარათ და გულ ახდილათ გადეშალა დამსწრეთათვის.

სხვათა შორის ეთქვა: ისე დიდი უფლებებიო ვარ აღჭურვილი, რომ შემიძლია მცხოვრებთ ჩიტის რძეც კი მოვთხოვო, თორემ ბური, სუკეთესო დვინო, ხორცი, ასე განიჯე ქალებიც კი ჩემთვისაც და უახლებისათვის რადა თქმა უნდა, ბრძანებისთანავე უნდა გაჩნდესო. ტოტა რამე მოურიდებლობისთვის დამნაშავეს ტუავს ცოცხლათ გავძრობო და სხვა ამ გვარი. ვაი, სწუალი რაწყლებით!... ბოლოს ბახუსის გულენით ამ ზომამდე მიელწია, რომ შინელის მაგიერ დებიც კი წამოესხა ბეწვებზედ და სიდგურის ზალიც, უკანრათ ბასუხია, ფეხის ადგათ გადაქცია... მეორე დღესაც უახახთა წინამძღოლს არ უმტუნებია თავის ჩვეულებისათვის და ალბანის სიდგურზეც, სიდაც მას ადგილობრივი ბოქაული შეხვდა ძალზე გათოშილიო დვინით. აქ ვიღაც ჯაშუშის დაბეზღებით, ვითომდა მთავრობის სასწინააღმდეგო მოქმედებაში მონაწილეობის მიდებისთვის, ამათ ე. ი. ბოქაულსა და ათიცერს „წესიერების დამცველთა“ სტრაჟნიკების საშველებით დაუბრებიათ და კიდევც მოუყვანიათ ორი კაცი: ერთი უოფილა სოფლის სასამართლოს მწერალი და მეორე ვიღაც მედვითნე-გურული. აქედან დაწყებულა გულშემზარავი სცენა, ორი «ბოლიტიკური დამნაშავენი» შეუყვანიათ სიდგურის ზემო სართულში, სიდაც თვითონ სიდილობდენ და კალმოძახიათ ზევიდან: «Давайте сюда казаковъ»-ო! ხელათ გაჩნდა მათთან თოფ-ათრდიათ და მათრახებით რამოდენიმე უახახ-რუსი, „Давайте еще“-ო! გაისმა ხელმეორეთ ბრძანება: მიუმატეს კიდევ. ზოგი ოთახში შეეუვანეს და ზოგიც კარებსა და ფანჯრებში ჩაუყენეს თოფებით. «Ложитесь»-ო! გაისმა. «Бейте, казаки»-და შეექნა ერთი ტკაცა-ტკაცი და ბრაგა-ბრუგი. მთრთოლ „დამნაშავეებმა“ სიცოდავი და გულ შემზარავი ბდავილი. მარა ამა ვინ უშველიდა!?... ვინ იქნებოდა იმისთანა გულადი, რომ იმათ სასარგებლოთ თუნდ ერთი სიტყვის თქმა გაებედა! იმასაც ის დღე მოელოდა, რაც დამნაშავეებს ადგა. გარეთ მაყურებელი ბევრი იყო: ქალი და კაცი, დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზდა. უველა ბირქვე დაეცა და ქვითინით მოთქვამდა. მათი ცოდვით ქვეც კი დუდდა, თორემ ადამიანის გული რაგორ არ უნდა აღელებულიუო, ისეთი საზარელი და გულის გამგმირავი კვნესა-ბდავილი მოისმოდა ზალიდან. უოველი კაცი კვირობდა და ერთმანეთს ეკითხებოდა: რა მოხდა, რა იყო, რისთვის დაგვეცა ნეტავი თავზე ამისთანა მახი, რაში არიან მაგ საცოდავები დანაშაული? ბასუხის მოქმედი არავინ იყო, და ან ვის რა უნდა ეთქვა, რადგანაც მიზეზი არავინ იცოდა! ბოლოს ცხვირ-ბირ დასისხლიანებული და, რაგორც შერე ადმოჩნდა, ზურგ დალურჯებული ცემა-ტუქით გარეთ გამოაგდეს, აკიდეს უზარ-მაზარი ხურჯინები და გაიგზავნენ წინ ციხეებმა. უფროსები კი ჩასხდენ ფაიტონში და ვითომც კეთილი სიქმის მომქმედნი სიამოვნების გამომხატველი ბრწყინვალე სახით არხეინათ გაექანენ ზევითკენ. მეხუთე ვერსზე ერთი „დამნაშავეთაგანი“, უოფილი მწერალი, გაეთავისუფლებათ და უკანვე დაებრუნებიათ, მეორე-კი, მედვითნე, ჩანჩალ-ჩანჩალით ისევ წინ გაერეკათ. მერვე ვერსზე ესეც გაეჩერებიათ და თოფ-მოდარებულ ციხეებს ებრძანებიათ: ბა ბირჯვარი გადიწერეო! მედვითნეს უთქრია: ეს არაე დაგვა ჩემი ალსასრულის დღეო და მართლაც ბირჯვარი გადაუწერია და დვთისათვის ცოდვათა შენდობა უთხოვია. ციხეებს უოფილანის შემდეგ ციხეები შეეთხებოდენ: ფული გაქ თუ არაო. დაეჩხრეკათ ჯიბეები და ენახათ მანეთ-ნახევარი, რომელიც თურმე ალბანიდან გამოსვლის დროს ერთ დვითან-მადიან ბირს ესაგძლებია მისთვის. ამოურთმევიათ რა ციხეებს ეს მანეთ-ნახევარი, ორი ცხვირ-სახიცი და ერთი უარანდაშიც, „განწმენდილ-განბანილი“ გამოესტუმრებიათ უკანვე.

გიგოშვილი.

სოფ. მირზაანი (ქიზიყი). დაიწყო თუ არა რუსეთ-იაპონიის ომი, მთელი უურადღება მანჯურიამ და ბორტ-არტურმა მიიპყრო. დღეს სურათი გამოიცვალა. ხალხი ახლა თითქმის არავითარ უურადღებას აღარ აქცევს ომის ამბებს. მას ამ ჟამათ სკეთარი საქმეები აინტერესებენ. კლეხთა მოძრაობამ ქიზიყელებიც ცეროზე დააეენა. გურიის ამბებმა ხომ თლათ გამოაფხიზლა ქიზიყელები: ასთრთოვანა იგინი და გურულების გამოფხიზლებას, გამარჯვებას, შორიდან ესალმებიან. დაიხ, ხალხმა შეიგნო, რომ იმ მძიმე უღლიდან განთავისუფლება, რომელიც მას ადევს კისერზე, ისევ მან უნდა იკისროს... 27 მარტს ს. მირზაანში თავი მოიყარა მთელმა სოზოკადოებამ თავის ჭირ-ვარამზე მოსალაპარაკებლათ, მაგრამ ბატარა ბიუროკრატმა—მამასახლისმა ადრევე გაიგო ეს განზრახვა და ადგილობრივ ბოქაულს ატყობა. ისიც რასაკვირველია, დაუზარებლათ გამოეცხადა მირზაანის სოზოკადოებას. ბ. ბოქაულმა უთხრა ხალხს: ,,ტოტა კიდევ მოითმინეთ და თავისუფლება თავის თავათ მოგენიჭებათო“. ნეტავ მართლა ეგრე მუქთათ არიგებდენ თავისუფლებას! ამ სიტუვებზე ხალხმა ერთხმათ მაძახა: ,,გვეეო ამდენი მოთმენა, მოთმინების თვალა უკვე ავსებულაა და მეტი მოცდა ალარ შეგვაძლიან. იცოდეთ, დღეის შემდეგ ალარც თოშტის ფულს გადვიხდით, ტეესაც ჩვენი სურვილისამებრ მოვიხმართ. ალარ გვინდა ,,ბეშჩაგებიი“ (ობიეზდჩიკები) და ურადულები, რომლებიც კოტტო ნაჯამ დორიგით დასუქდენ ჩვენი ტეის ფულებიდამაო; ალარ გვინდა შკოლა და ქსენონი, რომელნიც დღევანდელ ბირობებში სრულებით არ აკმაეოფილებენ ჩვენ მოთხოვნილებებსაო. ერიდობა დაიშალა, ბოქაულიც წავიდა. იმ სადამხსენე მოიყარა თავი ორმოცდაათმდე კაცმა და გადაწეიტეს შეორე დღეს ტეის გაჩხრა. მართლაც დილა ადრიან შეეკრიბა ას ორმოცი კაცი წალდებით და ცულებით გაემართენ ტეისკენ. ახლაც გული დაეწყო მამასახლისს, ბოქაულთან კაცი გაგზავნა და სიქმის ვითარება ატყობა. ბოქაული დაუყოვნებლივ მივიდა ტეეში და თხოვა ხალხს დაშლილიეო და შებირდა, სამს დღეში თქვენს მოთხოვნილებას დავაკმაეოფილებო. გადეხედა ამ სიტუვების შემდეგ დაიშალენ და ედოდენ დანაბირების ასრულებას. ბ. ბოქაულმა თავისი აღთქმა მართლაც რომ ბირნათლათ შეასრულა სწორეთ მესამე დღეს თუქურმაშიდამ ჯარი იყო გამოწეეული და დაბინავებული ქ. სიღნაღში. აი როგორი თავისუფლება ეწვდა ბოქაულს, მოტეუებულმა ხალხმა უფრო გაიორკეცა სიძულვილი და მოითხოვა მამასახლისს 3 აპრილს ხალხი შეეკარა, რომ თავისუფლათ ელაპარაკნათ თავიანთ საქმეებზე. მამასახლისმა ხალხის სურვილი, რასაკვირველია, არ შეასრულა, ან რა ხელსაყრელი იყო მისთვის, რადგანაც ბირეველათ ის გაეწეებოდა თავის ხრიკებისთვის. ხალხმა უმამასახლისოთაც მოიყარა თავი და ბირეველ საკითხათ დაეკენა მამასახლისი თავის წარსული და აწმეოს ცოდვებით. მოსელისათანავე სამასამდე კაცი მისცვივდა მამასახლისს და ცემეს. როცა გული მოიჯერეს, გადაწეიტეს ენგარაშნათ სოფლის მოხელეთათვის ფული. მამასახლისმა წარმოადგინა შემდეგი ანგარიში: 1904 წ. კენჭის ყრის დროს არაყისა და ღვინის ფასი დაეხარჯა 45 მანეთი, ამავე წელიწადს ფშავლის მწეემსებს სოფელმა აბატევა გადასახადი ფული. მამასახლისს კი ჩუმათ გამოერთო ზოგისთვის 12 მან., ზოგისთვის 15 მ., ზოგისთვის 13 მან. და ჩაეკიბნა. ისიც გამოაშკარავდა, რომ შარშან ზაფხულს კალიის განაწეეტით ბეკრის გამოწეევის დროს სხვა და სხვა ბირების განთავისუფლებით მას მოეკრიბა 80 მანეთი და ბევრი სხვა ამ გვარი ქრთამები. ხალხმა დირსეულათ დაჯილდოვა ,,პატიოსანი“ მოხელე. ასეთივე მსჯავრი დასდო ხალხმა სოფლის სხვა მოხელეთა მოღვაწეობას.

ლეო.

—

გორი. ახლათ არჩეულ ქალაქის მოურავის მოწოდებით, 10 აპრილს გორის ,,უბრავაში“ თავი მოიყარა უველა აქაურმა მოქალაქემ. ქალაქის თაემა, ბ-ნმა გრიგორაშვილმა ორი ფრიად საინტე-

რესო საკითხი წამოაყენა. ერთი—ნოქრების მოთხოვნანი „ხაზეინების“ მიმართ და მეორე—ამიროვისგან ძალათ დაჩემებულ ქალაქის მამულ „ბადაბეთზე“, რომლის გულისათვისაც წარსულ თვის 14-ს იმდენი ხალხი დაიხოცა და დაიჭრა. ნოქრების ყველა მოთხოვნანი „ხაზეინებმა“ დააკმაყოფილეს და დაადგინეს: ვინც ამ პირობას დაარღვევს, პირველათ ხუთ მანეთ ჯარიმას გადაიხდის. შემდეგ 25 და ბოლოს სულაც დაკეტავს დუქანს.

ამიროვისგან გაიძვერობით ჩაგდებულმა მამულმა კი დიდი აღელვება გამოიწვია.—რადგან ჯერ სხვა საშუალება არა გვაქვსო ასე მიმართა გორელებს ქალაქის თავმა—ეგ მამული ძლიერ გესაჭიროებათ, მე, ჩემის მხრით, გირჩევთ, იჯარით აიღოთო.

ამაზე ხალხმა საზოგადოთ, და რამდენიმე „ორატორმა“ კერძოთ, ცხარე „პროტესტი“ გამოაცხადეს: იჯარით რომ ავიღოთ, მაშინ ხომ იმას დავამტკიცებთ, რომ ეგ მამული ჩვენი კი არა, მართლა ამიროვის ყოფილაო. ეგ კი არა და, ძალათ დაჩემებული, ძალითვე უკან უნდა წავართვათო! ასევე გაუმართეს „უპრავაში“ მიწვეულ მაზრის უფროსსაც, რომელმაც ხალხს განუცხადა: „მე, როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენელი, თავის დღეში ნებას არ მოგცემთ, რომ ვისიმე საკუთრებას შეეხოთო! ბევრს ეფიცებოდენ მოხუცი მოქალაქენი და გლეხები: ძლიან კარგათ გვახსოვს, რომ განსვენებულმა მირონ ამიროვმა მხოლოთ ოთხი „დესეტინა“ შეისყიდა, დანარჩენი აუარებელი ადაგი კი გაიძვერობით და უსინიდისო ხრიკებით ქალაქს წაართვაო.

მაზრის უფროსი მაინც ამას იძახდა: ან „სუდით“ იძიეთ, ან არა და იჯარით აიღეთო. ბოლოს, რაკი ხალხი მაინც თავისას არ იშლიდა, ასე დაადგინეს: სანამ სასამართლო არ გადაჭრის, ნურც ამიროვი და ნურც გორელები ნუ ისარგებლებენ მაგ მამულითაო.

თავ. ერისთავის მამულში „კარალეთში“ ჯარი დგას და ყოველ დღე თურმე ხუთ-ხუთი ძროხა გამოყავთ გლეხკაცებისა და კლავენ. ამის გამო გლეხები გორში ჩამოსულან და მაზრის უფროსისთვის უთხოვნიათ: ოღონდ ჯარი გაგვაშორეთ და სოფელიც დაწყნარდებაო.

გორშიაც გამოჩენილან უსახელო წერილების „ფაბრიკანტები“ ვიღაც უსაქმო ვაჟბატონი თურმე მცხოვრებლებს მოსვენებას არ აძლევს და საზიზღარ წერილებს წერს, თავის სახელს და ვინაობას კი არ აცხადებს. კარგი იქნება ეგ ვაჟბატონი აღმოაჩინონ და ჭკუა ასწავლონ, თორემ აქაურები ხან ვის ადებენ ხელს, ხან ვისა—შენ მომწერლიო.

გორელი.

—

ყარსი. მთელ კავკასიაში ძნელათ თუ მოიძებნება ისე ყოველ მხრივათ ჩამორჩენილი მხარე, როგორც ყარსის ოლქია. ეს აიხსნება უმთავრესათ სკოლების სიმცირით და მიწის უქონლობით. მცხოვრებთა უმრავლესობას სომხები შეადგენენ. არიან აგრეთვე ბერძნები, რუსები, თათრები და სხ....

სომეხთა შორის მოძრაობა დიდი ხანია დაწყებულია, მარა დღემდი მათ მოძრაობას უფრო ნაციონალური ხასიათი ქონდა და მწყრალათ, უნდობლათ შესცქეროდენ სომეხთა მეორე პარტიას—სოციალ-დემოკრატებს და დაუსრულებელი ანტაგონიზმი იყო მათ შორის. პირველნი ოსმალეთში (სასუნში) მიისწრაფოდენ ცალკე სომხების ავტონომიის დასაარსებლათ, მიდიოდათ ხშირი შეტაკება (გასულ წელს ზაფხულში) თათრებთან და ბევრი მათგანი ესალმებოდა წუთი სოფელს. ამ ბოლო დროს კი ნაციონალისტები შეუერთდენ სოციალ-დემოკრატებს, და ერთათ მოქმედებენ. ეს ითქმის სომხებზე.

სხვა ელემენტებსაც თან და თან ემჩნევა მოძრაობა, თავის შეგნება, პროტესტის გამოცხადება. დავიმოწმოთ შემდეგი მაგალითი.

ქ. ყარსის მახლობლათ არის ს. ჩახმახი, რომელიც განსაკუთრებით მალაკნებით არის დასახლებული. 12 მარტს მთავრობამ მოთხოვა სახელმწიფო გადასახადი, მარა მალაკნებმა უარი განაცხადეს შეუძლებლობის გამო. გადასახადის ამკრეფი განრისხდა, „ლაპორტით“ მოახსენა უფროსს: მალაკნები „ბუნტობენ“ არ მაძლევენ გადასახადსო. უფროსმა მოახდინა შესაფერი განკარგულება და რომ ბუნტოვშიკები დაესაჯა გაგზავნა მოხელენი და 12 მარტს 50 სული საქონელი, მალაკნების მარჩენალი, და ერთად-ერთი არსებობის წყარო, გამორეკეს ყარსში, რომ ტორგზე გაეყიდათ და ანადები ფული მალაკნებზე შეწერილი გადასახადი დაეფარა. ქალების და ბავშვების მწუხარება ტირილს საძღვარი არ ქონდა: ეთხოვებოდენ საყვარელ, მარჩენალ ხარს, ძროხას და ზიზღს, წყევლა-კრულვას უგზავნიდენ მტანჯველებს.

ჩარეკეს საქონელი ყარსში. დანიშნეს ტორგი... მარა აქ რაღაც საკვირველება მოხთა: ტორგზე არავინ მოვიდა და ვინც იყო უარს ამბობდენ, არ ყიდულობდენ... მოხელენი აქეთ ეცენ, იქით ეცენ, მარა მყიდველი ვერავინ იშოვნეს. გაავთრებულმა უფროსმა უბრძანა საქონლის პატრონ მალაკნებს, საქონელი უკანვე სახლში გარეკათ.

„გამოსალმების“ დროს ცოტა დამშვიდებით შეეკითხა: მაშ როდის გადიხდით გადასახადსო?—მალაკნებმა ერთხმათ მიუგეს: **почемъ знаемъ, коли будетъ, дадимъ**-ო და საქონლით სახლისკენ გაუდგენ. ჯერ ეს მოხდა ს. ჩახმახში. ვნახოთ რას იტყვიან დანარჩენი სოფლების მცხოვრებნი.

—

Р. С. 27 მარტს, ყარსის სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეებმა თავი გაანებეს სწავლას, არც ჩვენ შეგვიძლია დღევანდელ პირობებში სწავლის განგრძობაო. ვუერთდებით ჩვენ მოძმეებს და ვუცხადებთ პროტესტს შკოლის მთავრობას და დღევანდელ შკოლის წეს-წყობილებას: ამასთან წარუდგინეს მთავრობას თავიანთი მოთხოვნილებანი და სიმღერით გამოეთხოვნენ სასწავლებელს. მოთხოვნილებანი ისეთი როგორიც სხვა სასწავლებლებში.

1) დათხოვნილ იქმნას 4 მასწავლებელი, მათ შორის ერთი ქართველი გ. წივიძე და მეორე რუსი ქალი.

2) წლიური გადასახადი სწავლის ფული 16 მ. ნახევრათ შემცირდეს.

3) შემოღებულ იქმნას სამშობლო ენაზე სწავლება, რუსულ ისწავლებოდეს, როგორც საგანი.

დ.

—

ს. საქობო (სიღნაღის მაზრა). დღევანდელი შემავიწროებელი პირობების გამო ადგილობრივი გლეხკაცობა იმ ზომამდე გადარიბდა, რომ ცხოვრება შეუძლებელი შეიქნა. ამავე დროს ხალხი გამოფხიზლდა, შეიგნო დღევანდელი უსამართლობა, და ხმა ამოიღო. მიხვდა იმასაც, რომ მისი მშველელი და დამხსნელი გაჭირვებულ ცხოვრებიდან არავინ არ არის და არც უნდა მოელოდეს არასოდეს. ამ გამოფხიზლების წყალობით საქობოში მცხოვრები გლეხკაცობაც 3 აპრილს რიცხვით 300—400 კაცამდე შეკროვდა სკოლის მახლობლათ, თავიანთ ჭირ-ვარამზე საერთოთ მოსალაპარაკებლათ. ყრილობაზე დასწრება ადგილობრივ ბოქაულსაც განეზრახა, მაგრამ ხალხმა ერთბაშათ მოითხოვა მისი წასვლა. დაითხოვა ხალხმა აგრეთვე მისი ხელქვეითი, არა ნაკლები მომხრე ყოველი უსამართლობისა—მამასახლისი და სხვა მოხელეები. შემდეგ, როდესაც ცოტა თავისუფლათ იგრძნეს თავი ყოველივე გამოააშკარავეს და შეადგინეს მოთხოვნილებანი, რომელნიც გამოიხატება შემდეგ მუხლებში:

1) რადგანაც ჩვენ მოკლებული ვართ ყოველივე სამართალს ჩვენი მოხელეების წყალობით, ვთხოულობთ, რომ შემოღებულ იქნეს ფართო სამაზრო ადგილობრივი თვით მართველობა

2) ვინაიდან ჩვენში მეტის-მეტი სიმცირეა მიწის, ვთხოულობთ რომ საეკლესიო, სამონასტრო და სახელმწიფო მამულები გადაეცეს საზოგადოებას.

3) ჩვენ, გლეხები შეგიწროებულნი ვართ სხვა და სხვა უსამართლო გადასახადებით. ამისათვის ვითხოვთ მოისპოს არა პირდაპირი გადასახადები და დაწესდეს გადასახადი 500 მან. ზევით შემოსავალზე. აგრეთვე მოისპოს აქციზი არაყზე.

4) მოისპოს მუდმივი ჯარი და დაწესდეს საერთო მილიცია.

5) გაუქმდეს წოდება, ე. ი. ნუ იქნება თავად-აზნაური და გლეხობა, მიეცეს ყველას სამოგადო სახელი „მოქალაქე“.

6) ჩვენ არ შეგვიძლია დღევანდელ ცხოვრებაში თავისუფალთ შეგვიერაბოთ ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესობის გულისთვის; ვეღა მოხელეს შეუძლია გვცემოს, მათრახებით ტყავი აგვაძრას ზურგზე და მათი დამსჯელი კი არავინ არის, ამისათვის ვითხოვთ შემოდებულ იქნას პირადუნების ხელშეუხებლობა და თავისუფლება კრებების.

7) შეძლება არა გვაქვს დღეს, რადგან პასპორტის უქონლობით სადმე წავიდეთ თავისუფალთ, ამ პასპორტსაც აგრე ადვილად ვერ გშოულობთ ჩვენი ბ-ნ მოხელე მამასახლისის წყალობით; ამისათვის მოვითხოვთ პასპორტების გაუქმებას.

8) დღევანდელმა ჩვენმა შეღებმა კარგათ დაგვანახვეს თავისი ნაყოფი. ტყავილათ ფულს ვხარჯავთ შვილებს ოჯახს ვცდენთ და იმათ თავში არაფერი არ რჩება ისეთი, რომ ცხოვრებაში გამოადგეს, უბრალო ხელის მოწერაც კი რიგიანათ არ იცით, რადგანაც ცუდ ნიადაგზე არის დაუნებული სწავლა. ამან გვაიძულა მოვითხოვოთ უფასო სავალდებულო სწავლა 16 წლამდის ორივე სქესის უმწვალებისათვის სწავლა სწარმოებდეს ქართულ ენაზე. მიეცეთ დარიბ ბავშვებს ტანისამოსი, სასწავლო ნივთები სახელმწიფო ხარჯით.

9) მოითხოვეს აგრეთვე საერო დამფუძნებელი კრება.

—

ს. ჯუგაანი (სიდნ. მაზრა). კვირას 3 აპრილს მოიყარა თავი თითქმის მთელმა სამოგადოებამ თავიანთ ჭირ-ვარამზე მოსალაპარაკებლათ. ბევრი თაობირის შემდეგ, სამოგადოებამ გამოარკვია, რომ სამმართველო წარმოადგენს ეოველიეე უსამართლობის ბუდეს და დაადგინა დღეის შემდეგ არავინ მიეკაროს მას, არ გვინდა მაგათი არც ავი და არც კარგიო. დაითხოვეს შემდეგ მამასახლისი: კმარა, რაც ამდენ ხანს ტყავი გვაძრე! ხომ ხედავ ადარა დაგვრჩენიარა, უმთავრესი ქონი გამოცლილი გვაქვს და შენ ხომ მჯლეც არ გიყვარს. ჩვენ არა გვაქვს-რა და შენც ვეღარას იკენკებ, შენც გაანძრიე ხელი და შით დუქმა ბური ჯამეო. ჩვენ ქრისტეს მცნების მქადაგებელ მღვდლებს მოვისპოთ კოდი ბური და აგრეთვე სხვა და სხვა მათ მიერ დადებული გადასახადები. „თუ ეგენი ჯამაგირს იღებენ, კოდი ბური რადა არის, კოდ ბურს იღებენ, ზავრების რადა არის, ან ჯვრის წერის და მიცვალებულისა“, გაიძახოდა ხალხი. დაუწესეს ნახრა: მიცვალებულზე და ჯვრის საწერი მიეცეთ ერთი მანეთი და არა ერთი თუმანი, რომლის მოგროვებას და აღებას გლეხი კაცი 25 დღე უნდება და მაგათ კი ორ საათში მიაქვთო.

შემდეგ ამოირჩიეს შვიდი კაცი და მათ მიანდვეს ეოველივე სამოგადო საქმის მოწეობა და წარმოება.

დაჩაგრული.

შინაური მიმოხილვა.

ვერავინ უარს ვეღარ ეოფს, რომ დღეს ჩვენ ქვეყანაში საერთო გამოფხიზლების დრო დაგვიდგა. საითაც გაიხედავთ, ყველა წრის, ყველა პროფესიის ხალხი, ქარხნის და ფაბრიკის მუშებიდან დაწყებული სოფლის გლეხ-კაცამდე, თავის მდგომარეობის გამორკვევის საქმეს შედგომია. უმთავრეს საკითხათ ყველას საშუალება ეძლევა თავის გაჭირვებაზე და დაჩაგრულ მდგომარეობაზე ილაპარაკოს და თავის სუსტი ხმა შეუერთოს თავისივე ამხანაგების საერთო ხმას. დღემდის ეს ჩვენში წარმოუდგენელი იყო. საითაც გაიხედავთ, ყველგან მშვიდობიანობა და სიწყნარე იყო, ასე გეგონებოდათ ყველანი კმაყოფილი თავის მდგომარეობისო. მაგრამ განა ეს ასე იყო? ყველამ კარგათ უწყის, თუ ვინ იყო კმაყოფილი და ვინ ჩუმაყოფილო. კმაყოფილი იყვენ ისინი, ვინც სხვისი ოფლით და სისხლით ძღებოდენ. უკმაყოფილონი კი ისინი, ვინც გამუდმებით შრომობდა, მაგრამ მიუხედავათ ამისა მუდამ გაჭირვებაში და სილატაკეში იმყოფებოდა. მაგრამ ეს უკანასკნელნი თავის უკმაყოფილების გამოცხადებას ვერ ახერხებდენ. გაბატონებული კლასების ძალმომრეობა სწორეთ იმაში გამოიხატებოდა, რომ ისინი ყოველ გვარ საშუალებას ხმარობდენ, რათა მშრომელ ხალხის უკმაყოფილება არ გამოაშკარავებულიყო, რომ მისი გაჭირვება და სილატაკე, ე. ი. ეკონომიური და პოლიტიკური დაჩაგვრა დაფარული ყოფილიყო. დღეს კი მშვიდობიანობა დაირღვა, და მშრომელი ხალხი აბობოქრებულ ზღვასავით ღელავს. და აი აქ ჩვენ აშკარათ ვხედავთ, თუ რა როლი ითამაშა ამ გამოფხიზლებაში ქალაქის პროლეტარიატმა. ვინ წარმოიდგენდა, რომ უბრალო გაფიცვა რომელსამე ქარხანაში ან ფაბრიკაში, სამუშაო დროს შემცირება, ე. ი. რვა საათის სამუშაო დღის და ხელფასის მომატება ასეთ დიად ძალათ გადაიქცეოდა და ამ მოთხოვნების დროშის ქვეშ შეერთდებოდა მთელი მშრომელი ხალხი, განურჩევლათ პროფესიისა. ვის ეგონა, რომ ერთ ფაბრიკაში მომუშავე ხალხს, რომელიც ერთი ჰაერით სუნთქავდა, ერთ ჭერ ქვეშ იტანჯებოდა, შეუერთდებოდა სხვა და სხვა ადგილას დაფანტულ-დაქსაქსული მუშები, როგორიც არიან მაგ. მაღაზიებში, დუქნებში, წვრილ სახელოსნოებში, სასტუმროებში, რესტორანებში, და კერძო სახლებში მომუშავენი, ი ე. ჭარგლები და იმათი შეგირდები, ნოქრები, მზარეულები, ლაქიები და სხვები? ყველამ იცოდა, რომ ამათი მდგომარეობა ბევრათ უარესია ქარხნების და ფაბრიკების მუშებზე, რომ ესენი მეტსაც მუშაობენ და ნაკლებსაც ღებულობენ, რომ ესენი ბევრათ უფრო დამცირებული და შევიწროებული არიან, რომ იმათ შეურაცხყოფას აღების და პატრონების მხრით საზღვარი არა აქვს, მაგრამ ყველა დარწმუნებული იყო, რომ ამათ არ შეეძლო თავის გაჭირვებულ მდგომარეობაზე ხმის ამოღება, და ამ მდგომარეობის გაუმჯობესობის მოთხოვა. და აი ეს მოხდა დღეს. სწორეთ ამათ გამოფხიზლებას ვაძლევთ ჩვენ დღეს უდიდეს მნიშვნელობას. ის, ვინც სხვის სამასხაროთ და გარყვნილების იარაღათ იყო მიჩნეული, ის დღეს ადამიანის სახეს ღებულობს და ადამიანურ უფლებას თხოულობს. გვეყო რაც ამოდენი ხანი ვიტანჯეთ, და პირუტყვივით მოქცევა ვითმინეთ. ჩვენც ხომ ადამიანები ვართ. ჩვენთვის არ არის არც დასვენება, არც რიგიანი საჭმელი; ჩვენთვის არ არის სახლ-კარი, არ არის ცოლშვილი, გვამუშავებენ უზომოთ და რაღაცას შემდეგ წაგვიგდებენ მოწყალებისავით. ამიტომ როგორც მშრომელი ხალხი, როგორც ნაწილი პროლეტარიატისა, ჩვენ ვთხოულობთ იმასვე, რასაც საზოგადოთ მთელი მშრომელი ხალხი, ანუ პროლეტარიტი თხოულობს, ე. ი. რვა საათის სამუშაო დღეს და ადამიანურ უფლებებს, კრების, სიტყვის, ბეჭდვის, გაფიცვის და კავშირის თავისუფლებას. ეს უფლებები საჭიროა იმისთვის, ხომ ჩვენ ბატონებს აღარ შეეძლოთ ჩვენი დაჩაგვრა შემდეგშიაც, როგორც ეს წინეთ იყო.

ამნაირათ თუ დღემდის, საზოგადოების ორ მოწინააღმდეგე ბანაკათ დაყოფა ისე აშკარა და თვალსაჩინო არ იყო, დღეს ეს ყველასთვის ნათელი და აშკარა შეიქნა. ყველა დარგის, ყველა პროფესიის მუშა ხალხი დღეს საერთო ინტერე-

სით არის ერთათ შეკავშირებული, რომ რაც საჭიროა ერთისთვის, საჭიროა მეორისთვისაც. ყველა პროფესიის მუშების ასეთმა მოძრაობამ, ასეთმა გაერთიანებამ აიშფოთა და გააფითრა ყველა ისინი, ვინც აქამომდე განუკითხველათ სარგებლობდენ იმათი შრომით. ყოველგვარ ღონეს ხმარობენ, რომ ეს მოძრაობა ჩააქრონ, ჩაკლან. ამაში ერთი ერთმანეთს ეჯიბრება დღევანდელი ქალაქი და სოფელი. მაგრამ, რაც ამ რამდენიმე დღის წინეთ სოფ. ერწოში მოხდა, იმან ყველაფერს გადააჭარბა.

ნ აპრილს გლეხები წუნარათ და მშვიდობიანათ შეიკრიბენ თავიანთ ულეველ ჰირ-ვარაძზე მოსალაპარაკებლათ. მათი განზრახვა სრულიად უბრალო იყო: უნდოდათ მთავრობისთვის თხოვნა გაეგზავნათ თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ. ქრისტეს მცნების მქადაგებელ მღვდელ გ. თურქაძეს და მის შესაფერ ძმას არ მოეწონათ გლეხების ასეთი „თავხედობა“ და დააბეზღეს იგინი ადგილობრივ ბოქაულ ტერ-გრიქუროვთან. ბ-ნმა ბოქაულმა მყისვე ყაზახ-რუსების რაზმი წაასხა «არეულობის» ჩასაცხრობათ და უდანაშაულო ხალხს მოუსია. შეიქმნა საზარელი ჟლეტა. ხალხმა ცადა თავი დაეხწია გაქცევით, მარა გამხეცებული ყაზახები ბოქაულის ბელადობით ამას ყურადღებას არ აქცევდენ და გულმოდგინეთ მუშაობდენ ხმლებით და თოფებით. ერთმა მათგანმა ვაჟკაცურის მოქნევით თურმე თავი გააგდებინა ერთს საუკეთესო გლეხთაგანს, ყველასათვის პატივსაცემ კაცს—ჩხუბია ყორიაულს. 6 კაცი გამოასალმეს წუთი სოფელს და ორჯერ მეტი დასჭრეს... ასეთი ამბები დღეს ყოველგან ხდება, მაგრამ ვინ არის მისი გამკითხავი. რა უშველის ამას, რა მოუღებს ბოლოს ადმინისტრაციის თვითნებობას და აღვირწახსნილობას? ერთ ერთი საშუალება არის მთელი შრომელი ხალხის გაერთიანება. შეერთება და შეერთებული ძალით გამკლავება. იქ სადაც უძლურია განცალკევებული ძალა, იგი უძლეველი გახდება, როცა იგი გაერთიანდება. სანამ ეს არ მოხდება, ფუჭეა ადრესების წერა, რაც დღეს გადამდები სენივით მოედვა ჩვენ საზოგადოების ერთ ნაწილს.

რუსეთის ქრონიკა

ჩვენს გაზეთში მოხსენებული გვქონდა, თუ როგორ ზომებს ხმარობენ „ბნელი ძალები“ რუსეთის გლეხების ასამხედრებლათ ინტელიგენციის წინააღმდეგ. ახლა ნათლათ გამოირკვა, რომ ეს „ბნელი ძალები“ პოლიციელები და ხუცები ყოფილან. გაზ. „რ. გ.“-ში ამის დასამტკიცებლათ მოყვანილია მრავალი მაგალითი მარტო სარატოვის გუბერნიიდან, რომ ხუცები დროს არ კარგავენ და სადაც წაჰყენებიან იქ უქადაგებენ ხალხს სკოლების დახურვას და ანტიქრისტე—მასწავლებლების და „ბუნტოვჩიკ“ ექიმების წინააღმდეგ ბრძოლას. პოლიციელებიც მხარს აძლევენ ხუცებს და აქეზებენ მათ მოდგაწეობას. ინტელიგენტის ცხოვრება შეუძლებელი ხდება სოფლებში ამ გათახსირებული ადამიანების წყალობით. უველა ამის შესახებ სარატოვის ერობას ვრცელი, დაწვრილებითი მოხსენება წარუდგენია გუბერნატორისათვის და უთხოვნია, რომ რამე ზომა მიეღო მთავრობას ასეთი ვაჟბატონების მოქმედების წინააღმდეგ. გუბერნატორს ეს მოხსენება რომელღაც „სტატიის“ მიხედვით ჯერჯერობით განზე გადუდვია. (რ. გ.)

—

ხარკოვის ქალაქის საბჭომ 21 მარტის კრებაზე განიხილა 85 ექიმის მიერ წარმოდგენილი განცხადება შესახებ იმისა, რომ საჭიროა დაიფარონ მოწაფეები ძალმომრეობისაგან. საბჭომ სხვათა შორის დაადგინა შემდეგი: სკოლების მოწყობის საქმე მიანდოთ გადაეცეს ქალაქებს და ერობას, შეიცვალოს სამუდამო სახწავლებლების წეობილება და შეეძლოთ ისინი დროებრივ დამზრუნველ რჩევებში ხმა მიეცეთ სახოგადოების წარმომადგენლობაც. ავტონომია და თვითო აკადემიური თავისუფლება უმაღლესი სასწავლებლებისთვის. ვინაიდან მოსწავლეების ტემას პოლიტიკური ხასიათს აძლევენ საჭიროა კრებების, ერიდობების და წრეების თავისუფლება, რომლებზედაც გამოირკვევა თითეულის პოლიტიკური რწმენა. დაარსდეს ქალაქის მილიცია მოქალაქეთა დასაცველათ. პოლიცია ქალაქს უნდა ექვემდებარებოდეს და არა ადმინისტრაციას.

—

პეტერბურგში პუტილოვის ქარხნის გემების სამუშაებელ სახელოსნოში ჩამოვარდნილა 1500 ფუთიანი კრანი, რომელსაც 300 ფუთის ტანი შეეძლო ზეცით. კაისმა საშინელი ხმაური ბა. ეს ისე მოულოდნელათ მოხდა, რომ იქ მყოფი მუშები დაიბნენ და რამოდენიმე ხანს აღგილიდანაც ვერ დაიძრენ. როცა გონს მოვიდენ მათ წარმოუდგათ თვალწინ შემზარავი სურათი: კრანის ქვემოდან მოისმოდა ერუ კვნესა ქვეშ მოყოლილ მუშებისა; ერთ მუშას უკლიდან სისხლი მოსწყმოდა; მიცვივდენ კრანს, მარა ნახევარ საათზე ადრე ვერ ასწიეს ზეცით. სრულიად გაჭეჭყლეიყო ხუთი მუშა, 13 მძიმეთ დაშავებულიყო, ხუთიც მსუბუქათ. ქარხნის უველა მუშებმა მაშინვე მიანებეს თავი მუშაობას. კრანის ჩამოვარდნის მიზეზათ ინჟინერ რატკოვსის დაუდევრობას თვლიან მუშები და მის დათხოვნას ითხოვენ. დირექტორი უარზეა. ვინაშვიდების ესწრება მრავალი მუშა. წარმოთქვეს სიტუვები მუშათა მდგომარეობაზე.

—

დიდ მთავარს სერგი ალექსანდრეს ძეს 430 მილიონ მანეთათ დირებული მემკვიდრეობა დარჩენია. აქედან 50 მილიონი დიდი მთავრის ქვრივს ეკუთვნის.

—

პუტილოვის ქარხანაში მომხდარ უბედურების ერთ-ერთ მსხვერპლის, გვარათ პიჩურკინის დასაფლავებას მუშები თავის ნებით დაესწრენ, რადგან ქარხნის მთავრობამ მუშაობის მიტოვების ნება არ დართო მათ. მეორე დღეს მარხვიდენ მეორე მსხვერპლს იმავე უბედურებისს—იევსთვს. მთავრობამ ახლაც არ მიცა მუშებს ქარხნიდან წასვლის ნება. მუშებმა მაინც მიატოვეს მუშაობა და წავიდენ უდროოთ დაკარგული ამხანაგის უკანასკნელ ვალის გადასახდელათ. მარა მოკლული ამხანაგი მათ მისვლამდი დაესაფლავებიათ. დანადგლიანებული მუშები დაბრუნდენ. ქარხანაში მათ დახვდა განცხადებები, რომლებშიაც ქარხნის დირექტორი სმირნოვი ატხადებდა ქარხნის დახურვას და მუშების დათხოვნას. მიზეზათ ასახადებდა მუშების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შეუძლებლობას, ქარხნის მთავრობისადმი შეუფერებულათ ქცევას, თვითნებობას მუშაობის მიტოვებაში და სხვ.

—

რუსულ გაზეთებში ამ ჟამათ დიდი მსჯელობაა იმის შესახებ, თუ რა და რა ბარტები და დასები იქნებიან რუსეთის მომავალ სახალხო კრებაში ანუ პარლამენტში. ზოგი გაზეთები უკვე არკვევენ, თუ რომელი გაზეთი, რომელ მიმართულებას ან რომელ პარტიას მიემხრობაო. უმეტესობის აზრით, მომავალი სახალხო კრება სამ ბანაკათ დაიყოფა: მარჯვენათ, მარცხენათ და ცენტრათ.

მარჯვენა.

„მოსკოვის უწუება“, „დენ“, „მოსკოვსკი დისტოკი“, მოსკოვის თავად-აზნაურობის სამარიინის ჯგუფი, ნაიდენოვის სვეტლო ჯგუფი, „გრაჟდანინი“, „რუსსკი ვესტნიკი“, „სვეტი“, „ნოვოე ვრემია“, „რუსსკოე დელო“, „რუსსკი დისტოკი“, გრ. ტოლდის ჯგუფი: ა. ბობრინსკი, შტრიუმერი, სტიშინსკი, ა. ობოლენსკი, კრივსკი, თ. კურაკინი, გოლოვინი და სხვ.; 22 საგუბერნიო მარშ-

დის ჯგუფი: შაბათი და მისი მომხრე საერობო მოღვაწენი; ,,სდროო'', ,,პეტერბურგის უწყება'', ,,რასვეტი''.

მარცხენა.

სოციალ-დემოკრატები, პოლონელი, სომეხი, ურაა და ფინლანდელი უკიდურესი ნაციონალისტები, ვექილების ჯგუფი, ბირჟოვოის კრების ექიმები, ინჟენრების კავშირი, ,,ნაშა დნი'', ,,სინ ოტეჩესტვა'', ,,რუსსკაია ჟიზნ'', ,,რუსსკაია გაზეტა'', ,,ნაშა ჟიზნ'', ,,ვესტნიკ პრავა'', ,,პრავო'', მასწავლებელთა ჯგუფი, ,,პრავდა'', ,,მირ ბოჟი'', ,,ურნალ დლია ვსეხ'', ,,ობრაზოვანიე'', ,,რუსსკოე ბოგატსტვო'', ,,გოსპროსი ჟიზნი'', პროფესორების კავშირი.

ცენტრი.

,,ვესტნიკ ევროპი'', ,,ნოვოსტი'', ურაათა, პოლონელთა და სხ. ზომიერი ნაციონალისტები. მრეწველთა ჯგუფი. საერობო უმეტესობა. მოსკოვის სიბჭო. ,,რუსსკაია გედომოსტი'', ,,რუსსკაია მისლ'', ,,ნაუჩნოე სდროო'', ,,რუს'', ,,ბირჟევაია გედომოსტი'', ,,რუსსკოე სდროო'', პეტერბურგსკი დისტოკ'', ,,ნოვოსტი დნია''.

—

პეტერბურგიდან სკვარდიო ჯარსა და მეზღვაურებს შემდეგი ბრძანება მიეცეს: ხელს ნუ მოკიდებთ იმ ფურცლებს, რომლებსაც სახლებსა და ქუჩებში არიგებენ; ,,ყურს ნუ უგდებთ იმ ხმანაგებს—სოციალ-დემოკრატებს'', სეირნობის დროს მოეცალეთ და ახლო ნუ მიეკარებით; ნუ კითხულობთ მოწოდების ფურცლებს; თუ სოციალ-დემოკრატები ჯარში შემოვიდენ და დაბარაკი დაგიწყონ, ხელი სტაცეთ და მთავრობას წარუდგინეთო (ს. ო.).

—

გაზ. „რუს. უწყებ''.-ში დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამა:

ჩიტა, 27 მარტი. ვტოვებთ რა ბაიკალს, გულმხურვალე სალამს ვუგზავნით ძვირფას სამშობლოს. მისი მწუხარება—ჩვენი მწუხარებაა, მისი გაჭირვება—ჩვენი გაჭირვებაა და მხოლოთ მისი ბრწყინვალე მომავალის და მშობლის მალე ნახვის მტკიცე იმედით გამხნევებული მივუშურებით ურუ და დაბურულ მთაგორებით მოცულ ზაბაიკალის მხარეს. **ზალკინდი, ცუკკერი, მოსე ლურიე, კუდრინი, ჯოხაძე, ლეიკინი, ოლშტეინი, ზაკან-ორჟეროვსკი.** ვთხოვთ სხვა გაზეთებს, გადაბეჭდონ.

სააღდგომო ფანტაზია.

იესო ქრისტე ნაღვლიანათ დაყურებდა ზეციდან მსოფლიოს.

უთვალავი ეეებერთელა ბურთები უხმოთ დაცურავდენ უფსკერო-უკიდო სივრცეში. ბუმბერაზი ბჟყვრიალა მზეები სწრაფათ მიქროდენ საითკენლაც და თითოეულს მათგანს გარს ევლებოდა მთელი გროვა პლატენებისა. გაიქროლებდა თუ არა ერთი მზე თავისი განუშორებელი ამხანაგებით მის ადგილას მეორე გამოჩნდებოდა და თავ-დავიწყებით დაედევნებოდა პირველს. მთელი დაუღლეველი სივრცე ავსებული იყო მოელვარე, ოქროს ფერათ მბრწყინავ უშველებელ ვარსკვლავებით, რომელნიც ჩვენი დედამიწადან მოზრდილ ნაპერწკლების ოდენათ მოჩანან. ყველა ეს მრავლის უმრავლესი მნათობები, ერთის შეხედვით ბუზებივით ირეოდენ ერთმანეთში, ნამდვილათ კი მწყობრათ და გარკვეულის მიმართულებით მიცურავდენ თავიანთ გზაზე. განუწყვეტელი მოძრაობა იყო და სამყაროსთან ერთათ, თითქო თვით უსაზღვრო სივრცეც მიფრინავდა სადღაც.

მხოლოთ ქრისტე იდგა ერთ ადგილას და მისი დიადი შეხედულება შეენიერ ჰაეროვან ქანდაკებას გავდა.,.

ლმობიერი, მწუხარე, მკრთალი და მასთან ნაზი ფერებით გაბრწყინვებული სახე ქრისტესი ფანტასტიურ ნათელს ფენდა ირგვლივ, დაშლილი ქერა თმები ოქროს ტალღებივით ეცემოდა მხრებზე და ღრმა, მაგრამ ნათელი ცისფერი თვალები მთელ სამყაროსკენ ქონდა მიპყრობილი. თეთრი, ფართო და გრძელი სამოსელი თავისუფლათ ეხვეოდა მის ახოვან ტანს, მარჯვენა კალთა კაბისა მარცხენა მხარზე გადაეგდო, ხელები გულზე დაეკრიფა და შიშველი ფეხებით თეთრ-ფიფქ ღრუბელზე გაჩერებულიყო, რომელიც უძრავათ ეკიდა სივრცეში.

სამყარო კი განუწყვეტელ მოძრაობაში იყო, თითქო უზარ მაზარ მნათობებს გაუთავებელი დოღი დაუნიშნავთ და ერთმანეთს ეცილებიან სისწრაფეშიო.

დიდ ხანს იდგა ქრისტე ერთ ადგილას, მრავალმა მილიონმა მზემ გაურბინა თვალ წინ, მარა მათი ბრწყინვალება არა რა იყო მისი სახის ნაღვლიან შუქთან შედარებით და დაღვრემილ თვალებს ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეუცვალა მწუხარე გამომეტყველება...

უცებ მის წინ გაიქროლა ერთმა მზემ, რომელსაც როგორც ღამის-პეპელები სანთლის ალს, ისე უტრიალებდენ გარეშემო რამოდენიმე პლატენები და ქრისტე შეკრთა...

სიყვარულით აღსავსე გული აუტოკდა, სახეზე მეტი ნაღვლიანობა დაეტყო, თვალებში ერთბაშათ ნაზმა ნაპერწკალმა იფეთქა, რომელიც წამსვე ჩაქრა, თოვლივით თეთრი ღრუბელი დაიძრა და ქრისტე უხმოთ გაფრინდა სივრცეში. ის მიცურავდა იმ მზესთან ერთათ, რომელმაც მისი ყურადღება მიიპყრო და გამოუთქმელის სიყვარულით და მწუხარებით დაყურებდა ერთ-ერთ მის მხლებელ პლანეტას.

ყველა მნათობები, რომელნიც ასე მედიდურათ დანავარდობდენ ულეველ სივრცეში მისი შემოქმედებითი ძალის ნაყოფი იყო, ყველა მისი ძლიერების შვილები იყვენ, მარა ეს ერთი, რომელსაც ახლა დაცქეროდა ის—სულ სხვა იყო, რადგან მასთან ქრისტეს სულ სხვა ნაირი კავშირი აერთებდა. აქ მან გაატარა კაცის სახით 30 წელიწადი, აქ ის დატანჯეს და აწამეს, აქ მან დათესა უკვდავი თესლი და მსხვერპლათ დაედო სიყვარულს, და სწორეთ ამიტომ იყო, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქრისტე ამ პლანეტას.

ის გრძნობა, რომელსაც სრულიად შეეპყრო ქრისტეს დიდებული გული, მწუხარების და საყვედურის გრძნობა იყო.

როცა უანგაროთ მოყვარული მშობელი, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეში პირმშო შვილის აღზრდაზე ფიქრობს, და მის მომავალს მტლათ ედება,—როცა ასეთი მშობელი დაინახავს თავის შვილის უვარგისობას, და მიხვდება, რომ მედგარს, განუწყვეტელ შრომას სრულიად უკვალოთ, ამაოთ ჩაუვლია, მაშინ მის გულში განუსაზღვრელი მწუხარების გრძნობა იღვიძებს... მარა ეს გრძნობა ადამიანურია და ღვთიურ გრძნობას ხომ ვერ შეედრება...

საზარელი იყო ის სურათი, რომელიც ქრისტეს საყვარელ პლანეტაზე გადაშლილიყო: უსამართლობა და დამონავება მეფობდა იქ. ადამიანი ადამიანს არ ინდობდა, დიდი—პატარას და მამაკაცი—დედაკაცს, ყოველგან კვნესა და გოდება მოისმოდა. რაღაც უხილავი შავი ძალა ჩამოწოლოდა ქვეყანას და სულს უხუთავდა, სუნთქვას უჭირვებდა ყველას. უდანაშაულო ადამიანთა სისხლის ნიაღვარი ინთხეოდა და წითლათ ღებავდა არე-მარეს. ძალმომრეობას საზღვარი არ ქონდა და დედამიწა ჯოჯოხეთათ გადაქცეულიყო...

ქრისტე თვალს არ აშორებდა საყვარელ ქვეყანას და საუცხოო კელაპტარივით მიუძღოდა წინ მას დაუსრულებელ სივრცეში. მას თვალ-წინ ედგა ის მწარე და ნეტარი

წამები, რომელნიც იქ განიცადა ცხრამეტი საუკუნის წინ და ეს მოგონება უფრო უძლიერებდა კაეშანს.

ამ წამში იქ, დედამიწის ერთ ნახევარზე, რომელიც მზისკენ იყო მიქცეული—მის აღდგომას დღესასწაულობდენ. მისი ყოვლის მხედველი თვალები, როგორც ხელის გულზე, ისე ნათლათ უყურებდენ ყოველივეს, რაც იქ ხდებოდა: საყდრების ოქროს ფერი გუმბათები ათას ფერათ ბრწყინავდენ მზეზე და ზარების სადღესასწაულო რეკა მკაფიოთ გაისმოდა ყველგან. ხალხის ჯგუფები ირეოდენ ეკლესიების ეზოებში, მოედნებზე და ქუჩებზე, მარა ამ ხალხს არ ემჩნეოდა სადღესასწაულო ელფერი: ზოგი მათგანი დამწუხრებული იყო, ზოგი გაბრაზებული მუჭავდა ხელებს, ზოგი შიშისაგან კანკალებდა, ზოგი გაფაციცებული იყურებოდა აქეთ-იქით, თითქოს რაღაც არა ჩვეულებრივ მოვლენას ელისო, ზოგი ბოროტათ იცინოდა და ეშმაკურათ შეყურებდა მოყვასს, ზოგიც მედიდურათ, ყოყოჩათ იცქირებოდა აქეთ-იქით... მშვიდობიანობის ნატამალიც არსად იყო. ყველას თავისი საკუთარი ფიქრები უტრიალებდა, მარა ერთი აზრი კი ყველასათვის საზოგადო იყო და ამ აზრს ნათლათ კითხულობდა გულთა მხილავი ქრისტე. საშინელი იყო ამ აზრის შინაარსი, საშინელი იყო და მასთან აუცილებელი. ქრისტე გრძნობდა ამას, გრძნობდა, რომ იმ საშინელი აზრის სისრულეში მოყვანა აუცილებლათ საჭირო იყო, გრძნობდა, რადგან ქვეყანაზე შავი შემხუთავი ძალა გამეფებულიყო, ძალა უდიერი, ბოროტი, ადამიანის დამმონავებელი, ყოველივე ღვთიურის აღმომფხვრელი ღვთის სახისამებრ შექმნილ არსებაში. ამ შავ ძალასაც ხედავდა ქრისტე და განუსაზღვრელს, დიდებულს, სიყვარულით აღსავსე გულში არც ერთი კუნჭული არ მოეპოებოდა სადაც მას ალაგი ენახა. ამ უდიერ ძალას არ უნდა ჭონოდა ადგილი ქრისტეს მიერ საყვარელ ძმათა სამფლობელოშიაც, მარა მას სამეფო ტახტიც დაედგა თავისთვის და ურცხვათ, თავხედათ, უმსგავსოთ წამომჯდარიყო ზედ. ერთი სიტყვა ქრისტესი და ის საძაგელი, ეშმაკის კერძი მტვრათ იქცეოდა, მარა ქრისტეს არ სურდა ეს. მას უნდოდა თვით ადამიანებს ჩამოეგდო ტახტიდან ფლიდი და ანგარებიანი სისხლის მსმელი.

უფრო დაღონდა ქრისტე და ქვეყანას მყის თეთრი ღრუბელის დოლბანდი გადაეკრა. მზის სხივები დაეკონენ ამ ღრუბლებს და ათას ნაირათ გააბწყინეთ მათი ზედა პირი. ქრისტემ ზევით აღაპყრო ცის ფერი თვალები. სამყარო განაგრძობდა თავის გზას და ფიფქი-თოვლივით სპეტაკი, დაბურთავებული ღრუბელი, რომელზედაც ქრისტე იდგა გამალებული მიქროდა სივრცეში.

კვლავ დაუშვა თვალები ქრისტემ დედამიწისაკენ. დაკრეფილი ხელები სამოსელიდან გაინთავისუფლა, გაიწოდა წინ და ქვეყანას წამში ჩამოეცალა ღრუბლების რიდე. იგივე სურათი მოჩანდა იქიდან. შავი ძალა დათარეშობდა, არ ინდობდა არავის და ტკბებოდა თავისი სიმხეცით.

ხალხი კი ისევ ბუნებივით ირეოდა და მისი მოთმინების ფიალა თან და თან ივსებოდა. ღღეს, აღდგომას, როცა ყოველი ქრისტიანი ვალდებული იყო, დროებით მაინც დაევიწყა მიწიერ ენებათა ღელვა და ზეციერი მაცხოვარის მოგონებით დაეშვიდებია დაწყლულებული გული—ქრისტეზე არავინ ფიქრობდა, მარა მრავალ-მოწყალე მაცხოვარს არ არისხებდა ადამიანთა ასეთი კადნიერება...

მოახლოებული იყო წამი, როდესაც ათასობით მსხვერპლი უნდა შეწირულიყო უკეთესი ცხოვრების დასამყარებლათ და მომავალი ბრძოლის სურათი თვალ წინ ედგა ბრწყინვალე შარავანდედით გარემოცულ ქრისტეს. რათ უნდა დანთხეულიყო ადამიანთა სისხლის ზღვა, განა არ მოიძებნებოდა სხვა საშვალება ტანჯული ხალხის თავის დასახწევათ?

ერთი ხელის გაქნევით შეეძლო ხომ მას, როგორც სურდა ისე შეეცვალა ხალხის ბედ-იღბალი. მაშ რაღას უყურებდა, რას აყოვნებდა?

აი, გაეპო კიდეც შვენიერი ბაგენი ღვთიურ ბრძანების წამოსათქმელათ, ერთი წუთი კიდევ და ყოველივე შეიცვლება დედა-მიწის ზურგზე, მაგრამ არა! ის, ღს შავი ძალა, რომელსაც თავის მიზნათ ადამიანთა ტანჯვა-წვალება გაუხდია უნდა დაისაჯოს თვით ჩაგრულთა ხელით....

და იმ სიტყვის მაგიერ, რომელიც ამ ერთი წუთის წინ უნდა წარმოეთქვა სულ-მოწყალე მაცხოვარს, გაისმა მრისხანე, ძლიერი, შეუპოვარი ბრძანება, და ამ ბრძანების ხმამ თითქოს მთელი სამყარო შეაყენა ერთ ადგილას.

—ბრძოლა, გაიმეორა იგივე სიტყვა ქრისტემ და მრისხანეთ შეკრა წარბები. ნაზი, ცისფერი თვალები აენთენ და დედამიწას მყის შავი, შიშის მოშგვრელი ღრუბლები გადაეფარენ. ელვა ცეცხლის გველებივით დაიკლაკნა ყურყუმა ღრუბლებში და ქუხილმა მორჩილებით გაიმეორა მაცხოვრის ბრძანება....

თაგუნა

ჩემი შთაბეჭდილებანი.

I

საკვირველი დროა, საარაკო დროა, რაც დღეს სინამდვილეში ხდება, ზღაპრათაც კი არავის გაუგონია, რასაც დღეს მთელი რუსეთი განიცდის, არას დროს არამც თუ თვით რუსეთს, არც ერთ ერსაც კი არ განუცდია....

აქ, შორეულ აღმოსავლეთში, დიდი, წყნარი ოკეანის სიღრმიდან ამოცურდა ჩუმათ წყნარათ ერი, რომელმაც პირველათ თავის არსებობაზე ამ ათი წლით წინეთ დაიძახა; არტურის მიდამოდან, მისი ერთ-ერთ მაღლობ ქედის წვეროდან დაიკივინა: „აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ, იქით გორებსა ძრას ვუზამო“. იქით ამ გორას მართლა კრა წიხლი და მართლაც შეანძრია, ხოლო ისე და იმდენ ზაფთიანათ კი ვერა, რომ აქეთა გორებიც შერყეულიყვენ. მიუხედავათ ამისა გალადებულ-გამედიდურებულ ევროპას—მთელ დასავლეთს, არაფრათ ეგონა ეს ხმა აღმოსავლეთისა. მეტოქეობაში დაგეშილმა, თავისი ბუნებრივი გრძნობით იცნო ახალ ერში ახალი საშიში მეტოქე. გადაწყვიტა მისი თავიდან საბოლოოთ მოშორება; წაკრა ლონიერი მუჯლუგუნი; გორიდან გააძევა და ზედ თავისი მომხრე-მოყვარე **კოლოსსი** დააყენა დარაჯათ. გაძევებულმა ცნო შეურაცყოფა. ამაყმა რაინდმა იგრძნო დამამცირებელი პანღური. ტკივილით გააფთრებულმა თვალებიდან ნაპერწკლები გადმოყარა, ჯავრი გულში დაიმარხა და იქ—გულში დამარხული ძალ-ღონე, ენერგია ფეხზე წამოაყენა, აამოძრავა. თავისი ჭაბუკური მკლავი აავარჯიშა. და აი, დაკოტავებულ-დაკაპიწებული, დამწიფებულ-დადელიყანდებული, დინჯი, თავის ძლევა-მოსილებაში ღრმათ დარწმუნებული, იგი ისევ ბრძოლის ველზე გამოიჭიმა, **უძლეველ** დარაჯ-კოლოსს დაეტაკა.

ამ ამბავმა მთელი ქვეყანა ცერზე დააყენა: ვინ გააცინა, ვინ გააკვირა, მტერი გაახარა, მოყვარე დააღონა. ყველანი შეუპოვარი ფალავნის დამარცხებას, მის დედამიწის ზურგიდან აღგვას წინასწარმეტყველობდა. რამდენათ საბუთიანი იყო წლის დასაწყისში ეს წინასწარმეტყველობა—პირველის სიცილ-სიხარული, მეორის შიშ-სიბრალული, ეს ნათელ ყო წლის დასასრულმა, როცა მამაცი მებრძოლი ისევ იმ მაღალ „სოპკა“—გორს დაეძგერა, ისევ მას კრა წიხლი. ამ ჟამსა შინა ამ წიხლის კვრამ მართლა შეანძრია მთელი მთა და ბარი, არე

და მარე, მტერი და მოყვარე. იქით—სოპკის წვეროდან დარაჯი-კოლოსი ყირამალათ გადმოიჭრა და მთელი თავისი სიგრძე-სიგანით დაღრეჭილ-დაღმენჭილი, უფსკრულში ჩაეშვა. აქეთ საშინლათ დაფრთხა „მადამ“ ბიუროკრატია, ეს კოლოსისის ერთგული გამდელი, ეს ხალხის შეუბრალებელი მაჯლაჯუნა. უკანასკნელის დაფრთხობით პირველს შვება მიეცა. ხალხმა ძილს თავი აართვა, წამოჯდა, თვალები აბოიშუნიტა, თავის დამფთხალს სულთამხუთავს ქალბატონს გაკვირვებით დააშტერდა და ისეთივე გაკვირვებით თავის-თავს დაეკითხა: „სად ვიყავ შარშან, შარშან-წინ? ნუთუ ძღევა-მოსილს ეს უძლური მიმოხრილებდა? ნუთუ მდევი ამ ჭინჭრაჭას ეემორჩილებოდი?!“ მწარე კითხვებმა, ნაღვლიანმა ფიქრებმა ხალხი ფეხზე დააყენა—ხალხი გაინძრა და აი, თავის საკუთარ ისტორიაში, საკუთარი სისხლით, საკუთარივე ხელით ჩაწერა თავის პირველი დღე შეგნებისა, დღე გამოფხიზლებისა—**ცხრა იანვარი.**

საკვირველი დროა, საოცარკა დროა—დრო განახლებისა, დრო დაბადებისა. მთელი ქვეყნიეროба ყურდაღურსული შეყურებს **მშობიარის** კვნესას, გულის ფანცქალით მოელის **შობილის** ხილვას. თვით სნეულნი და დავრდომილნი, მოხუცნი და ინვალიდნი, რომლებიც გუშინ სიკვდილს უხმობდენ-ემუდარებოდენ, რომლებსაც ცალი ფეხი უკვე სამარეში უდგიათ—დღეს ყველას სიცოცხლე მოწყურებიათ, ყველანი ერთი ფიქრით, ერთი მისწრაფებით გამქვალულან, ყველანი მოუთმენლათ მოელიან მომავალ **ყრმას** წარმავალი საზოგადოების საშოდან. წამებულნი, ტანჯულნი! რა ნეტარებით წარმოთქმენ: „აწ განუტევე მონა შენი უფალო“-ს! რა მხიარულათ გადადგმენ მეორე ფეხსაც იქ, სადაც ერთი უკვე უდგიათ—რა ტკბილათ მიეცემიან საუკუნო ძილს!

საზოგადოების ყველა ჯგუფთა და კლასთა ერთგულნი, მათი ინტერესების უანგარო დარაჯნი, შეგნებულნი წევრნი—წინამძღოლნი შეუგნებელის მთელისა—ყველანი არა ჩვეულებრივი ერთსულოვნებით, მხნეობით შრომობენ, ვარჯიშობენ, რათა ღირსეულათ დახვდენ ძვირფასს **სტუმარს**—ღირსეული სიტყვებით შეამკონ. ყველანი აქედანვე ელაღარსებიან, ეფერებიან-უნდათ მისი გული მოინადირონ, მოცინარი სახე თავის კლასისკენ მოაღერიონ. თვით ორგულნი მისი გუშინდელი ჯალათნი, დღეს ისინიც კი მზათ არიან შეეგებონ ბრწყინვალე ნორჩს თავიანთ კარგ დაზეპირებული რაპორტით: „ყველაფერი, სულ,—სულ ყველაფერი რიგზეა, თქვენო ბრწყინვალებაო“.

და აი, ამ დროს საერთო გამოფხიზლებისა, ამ დროს შეერთებისა, სოლიდრული მოღვაწეობისა, თავის თავათ იბადება კითხვები: რას იქმნენ და რას ფიქრობენ „ჩვენი“ კეთილას მყოფელნი, ჩვენი მაცხონებელნი? სად არიან და როგორ არიან ჩვენი კურპატკინები—შტაკელბერგები, უხტომსკი—ზასულიჩები, გრიპენბერგები, ეს ულირსნი სარდლები იმ ღირსეული კლასისა, რომელიც დღეს ასე დიდს და გადამწყვეტს როლს თამაშობს? ეს კითხვები საჭირ-ბოროტო კითხვებია—საამქამო, საამწამო კითხვები! აი, რისთვის ასე მოუთმენლათ მოველოდი ჩვენ გაზეთში ამ კითხვების აღძრას, მათზე პასუხს. „მოგზაურმა“ გაამართლა ჩემი მოლოდინი.

„რა არის პარტია“? ამ სათაურის ამოკითხვისთანავე ინსტიქტიურათ ვიგრძენ: აი, აქ—ამ კითხვაში, უნდა ყოს თავმოყრილი ჩემ მიერ დასმული კითხვები მეთქი! ამისთვის გაორკეცებული ყურადღებითა და გულთასმით დავიწყე კითხვა. ინსტინქტმა არ მომატყუა. წერილში სწორეთ იგივე კითხვები ვიპოვე, რომლებიც თვითონ მე თავში მიტრიალებდენ. პასუხი? მე რომ მწერალი ვიყო და ამასთანავე კარგი მწერალი ვიტყოდი: ეს წერილი—«რა არის პარტია?»—ალბათ ჩემი დაწერილია; დამვიწყებია, დამკარგვია, ბ. „ან“-ს უპოვნია და აი თავისათ გაუსაღებია მეთქი. ჩემდა საუბედუროთ და ბ. «ან»-ის საბედნიეროთ, მე მწერალი არა ვარ. მაშასადამე, „ან“-იც თავისუფალია ამ ახირებული პრეტენზიიდან, აღძრულ კითხვაზე სხვა სოის პასუხი დღეს—დღევანდელი საქმისა და ვითარების მიხედვით—თუ შეიძლებოდა, **ჩვენში** რასაკვირველია,—ეს, წარმოიღგინეთ ჩემი გულ-უბრყვილობა, არც კი მიფიქრია. მარა ეს ასე არ დარჩა. ამაში მალე დავრწმუნდი, ვინაიდან იქვე—«მოგზაურის» მეორე ფეხის გადადგმაზე წავაწყდი მის მეორე თანამგზავრს, ბ. «ს»-ს „ს“-ნი „ან“-ს ანტიპოდი აღმოჩნდა. ის სულ სხვაფერ ფიქრობს, სხვაფერ აზროვნებს, სხვაფერ გრძნობს! აქ ძალ-ღონებურათ ეკითხები თავის თავს: ვინ არის „ან“-ი და ვინ «ს»-ი, ე. ი. რომელი მათგანი „მოგზაურის“ **მართლმადიდებელი**, კეთილ-საიმედო თანამგზავრია და რომელი არა მართლმორწმუნე? რომელისკენაა რედაქციის სიმპატია და რომელისკენ მისი ანტიპატია? რედაქციის დაუკითხავათ, მისი მხრით შეუნიშნაათ გაზეთის ფურცლებზე ასე თავისუფლათ თარეშში სხვა და სხვა თავისუფალ დამოუკიდებელ მოაზრეთა, ეჭვი არაა, მეტათ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებს მკითხველს, რომლის ინტერესი, რასაკვირველია, უნდა იქნას პირველ ყოვლისა დაცული. თავის თავზე ვიგრძენ ეს უხერხულება, ვინაიდან ვერ გავიგე ამ საინტერესო საგანზე თვით რედაქციის აზრი, რომელსაც თავიდანვე ეკუთნის ჩემი სრული თანაგრძნობა. ეს ისე, სხვათა შორის, წავიდეთ ქვევით.

რა არის პარტია? *) «ადამიანთა იმ კრებულს, რომელიც ისახავს საერთო მიზანს და მის განსახორციელებათ ერთათ მოქმედებს, ეწოდება პარტია». ამ „ან“-ის მიერ ზოგათ და მოკლეთ საგნის განსაზღვრამ «დიდ კითხვაზე პაწია შენიშვნის» ავტორს დაუყენა წინ ოთხფეხთა, პირუტყუთა დამფარველი საზოგადოება». მე კი—საზოგადოება მეტყველთა—ორფეხთა; მას ჩემი, მკვდარი წიგნების ობმოკიდებულ კაბინეტებში აკვრევინა თავი, მე კი განათლებულ სახელმწიფოთა განათლებულ პარლამენტებში, საიდანაც ისმის ჭექა-ქუხილი სიტყვიერების მეფეთა!... რომ «რა არის პარტია“-ს ავტორი პარტიაზე (პოლიტიკურ)—და არა პირუტყუთა მფარველ, ან წიგნების გამომცემელ საზოგადოებაზე—ლაპარაკობს, ამაში ყველა, კრიტიკის სენიდან თავისუფალი მკითხველი და მეთანხმება. ეს სტატიის პირველივე სტრიქონიდან ჩანს და ჩანს ნათლათ, ცხადათ. რომ პარტიის სული, მისი არსებობის დედაბოძი ორგანიზაციაა, ამას კი აშკარათ ღაღადებენ თვით ფაქტები, ჩვენი ცხოვრების დღევანდელი ვითარებანი. რუსეთში არის მუშათა კლასსი, არის ამ კლასსის პარტიის **ელემენტები**: საერთო მიზანი, საკმაოთ გამორკვეული პროგრამა, მფარველნი იდეოლოგნი, მარა არ არის თვით—რათა? იმიტომ რომ არ არის ორ-გა-ნი-ზა-ც-ია! იდეოლოგნი ვერ შეერთდენ სამოქმედოთ, მაცხონებელნი ვერ მოეწყვენ ერთმანეთს და აი—**ცხონების** მაგიერ წაწყმედის გზას დაადგენ. დიაღ, თუ პარტიის წევრებს ამოძრავებს, ასულდგმულებს ერთობა, სოლიდარობა; თუ მას აქვს „რაიმე ორგანიზაცია“, «მის მოღვაწეობას ვერ შეაჩერებს»... **მკაფიოთ** გამორკვეული პროგრამისა და **დაწვრილებით** შემუშავებული ტაქტიკის» უქონლობა. **მკაფიოთ** გამორკვეული პროგრამა, **დაწვრილებით** შემუშავებული ტაქტიკა ზეციდან არ

*) ამ საგანზე 9—10 წ. წინად ვრცელი წერილები იყო მოთავსებული „ივერიასა“ და „ცნობის ფურცელში“ შემდეგი სათაურით: „პოლიტიკური პარტიები ჯერმანიაში“ („გუშინ და დღეს)„. ამ წერილების დღეს ცალკე წიგნათ გამოცემა, ჩემის აზრით, დიდ სამსახურს გაუწევს ქართველ მკითხველ საზოგადოებას.

მოდის. მათ ბადეებს მოქმედება, ისინი კი შემდეგ თავის მხრით ადგილებენ, ანაყოფიერებენ თვით მოქმედებას. ასე ამბობს ბ-ნი ,,ან''-ი და ასე მესმის მეც მისი ნაამბობი. ბ-ნი ,,ს'' კი სულ სხვაფერ ამბობს. ის როგორც უკვე კთქვით ზევით, სულ სხვაფერ ფიქრობს. რა არის მიზეზი ამ სხვა და სხვაობისა, ამ მართლმორწმუნეთა შორის წინააღმდეგობისა? რატომ ბ-ნს ,,ს''-ს **ისე** ესმის, მე **ასე**?

აი-რატომ. მე უბრალო მკითხველი ვიხლავარ, ბ. ,,ს'' არა უბრალო. ის, აშკარაა, მწერალი მკითხველია და ამასთანვე კრიტიკოსი. ჩემი, როგორც მხოლოთ მკითხველის, მიზანია, ორივესი—დაწერილისა და დამწერის, ავტორის—გაგება და არა დაგმობა. ამისთვის, როცა ვკითხულობ, მე დაწერილს არ ვაჯახებ დამწერს, ნაწილს არ ვაშორებ მთელს ბ-ნ ,,ს''-ს, როგორც კრიტიკოსს, გვერდებში კრიტიკის ეშმაკი უზის, ხელში წითელი კარანდაში. ესენი ორივე საშინელი მაცდურნი არიან, რის ზეგავლენიდან ხშირათ თავს ვერ იფარავენ ისეთი გულწრფელნი და გონიერნიც კი, როგორიც (ასეთია ჩემი შთაბეჭდილება) თვით ბ-ნ ,,ს''-ია. აქედან, სამწუხაროთ, ასე ხშირათ კრიტიკის მაგიერ იბადება: „კრიტიკან-პრიდირკანობა''! ლიტერატურა სავსეა მაგალითებით. ,,პაწია შენიშვნაშიაც“ არა პაწია ალაგი უჭერია ამას. ასეთია, ყოველ შემთხვევაში, აქაც ჩემი შთაბეჭდილება.

—ლია.

ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲒᲣᲠᲘᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ამას წინათ „კავკაზში“ დაიბეჭდა გურიაში გაგზავნილი ჯარის მთავარ სარდლის ალიხანოვ-ავარსკის განცხადება, რომლითაც აცნობებდა საზოგადოებას გურიის დამშვიდების ამბავს. ამ განცხადებამ ყველა გააოცა შინაარსის არა ჩვეულებრივი სისუსტით. სხვათა შორის ბ-ნი ალიხანოვი იწერებოდა: გურიაში გადამწვარ სოფლის სასამართლოების მაგიერათ ახალ ქვის შენობებს აგებენო; გაქცეული და ნიადაგ დაკარგული სოფლის მოსამართლენი ისევ უბრუნდებიან თავიანთ საქმეს და ერთი სიტყვით ცხოვრება ისევ ძველ კალაპოტში ჩადგაო.

არ ვიცი მთავარ-სარდალს რაზე დაჰირდა ასე თვალხილულათ ფაქტების დამახინჯება. ქვეყანამ იცის, რომ გურიაში სოფლის სასამართლოები არ დაუწვავთ, და აქ კი იწერებიან: ახალ ქვის შენობებს აშენებენო. ასეთი ოინები მასწავლებლებმა იციან ხოლმე; როდესაც სასწავლებელს იბარებენ, თავის მთავრობას ეუბნებიან: მოსწავლეებმა არაფერი არ იციან, ანა-ბანა არ გაეგებათო. ხოლო ერთი ან ორი თვის შემდეგ კი აღარ იციან როგორი ქებით მოიხსენიონ იგივე მოსწავლეები. გურულებს არასოდეს არ დაურღვევიათ მშვიდობიანობა, იშვიათი მკვლელობა და სხვა ასეთი მოვლენა სრულიათაც ხალხის საქმე არ ყოფილა. პირ-იქით, ასეთი შემთხვევები ხშირათ პოლიციის მეცადინეობით ხდებოდა, რასაც ამტკიცებს «ივერიაში» დაბეჭდილი წერილი მელ. მახარაძისა, რომლის წინააღმდეგ არავის ხმა არ ამოუღია. მაშ რაღა დაამშვიდა ბ-ნმა ალიხანოვმა? ცხადია აქ რაღაცა გაუგებრობაა, თორემ არა მგონია ასეთი სიცრუე განგებ მოგონებული იყოს.

სოფლიდან მოწერილი ამბები ნათლათ გვაჩვენებენ თუ ვინ არღვევს მცხოვრებთა სიმშვიდეს და განზრახ იწვევს ხალხისაგან მყუდროების დარღვევას.

სოფ. ხვარბეთი: ოცდა ხუთ მარტს ჩვენს სოფელს ყაზახ-რუსებმა ალყა შემოარტყეს. სოფლიდან გამოსვლის ნებას არავის არ აძლევდენ. რამოდენიმე მოსახლე კაცს გაჩხრიკეს და ბევრი დაიჭირეს. დაიჭირეს შერმანდი გობრონიძე, რომელსაც რევოლვერი და ბერდანკა უნახეს. ორივე იარაღი რასაკვირველია, წაართვეს. დაიჭირეს იოსებ ბარამიძე და უბრალო დანა წაართვეს. მეორე დღეს გიორგი მარგალიტაძე დაიჭირეს. დაიჭირეს არსენ კეკახმაძე, რომელსაც ოზურგეთში ავათმყოფი მიყავდა ექიმთან. დაიჭირეს აგრეთვე ერთი ყმაწვილი ალექსი გობრონიძე და იფიქრეს: ამას უთუოთ ვათქმევინებთ ვინ არიან «ბუტის» მეთაური კაცები, მარა ბავშვს რა უნდა ეთქვა. ბუნტის მეთაური რომ „გაჭირვება“ და აუტანელი ცხოვრებაა ეს ვინ არ იცის. იმანაც რასაკვირველია, ვერავინ დაუსახელა. ამათ გარდა ბევრი გაჩხრიკეს ჩვენ სოფელში მარა დაჭერით არავინ დაუჭერიათ. 26 მარტს ძალით მოხადეს მურკანიძის ჰური და ქუდებით სვეს ღვინო. თუმანოვის აფთიაქის პროვიზორს ფინია ძაღლი მოპარეს და როცა ამან ალიხანოვთან იჩივლა, უკანასკნელმა ასეთი „უაზრო“ საჩივრისათვის ერთი კვირით ციხეში ჯდომა მიუსაჯა.

ერთ აქაურ გლეხს. ოზურგეთის გზაზე მიმავალს, კაზაკმა მისცა ოთხიოდ პატრონა: ბერდანკა გექნება და მოიხმარეო. მანაც გამოართვა. ბოლოს აღარ მოეწონა ასეთი საქციელი და ნაჩუქარი პატრონები შორს გადაყარა. არ გასულა ათიოდ წუთი, რომ გზაზე იგივ კაზაკი და ოთხიოდ მისი ამხანაგი გადაუდგა. გაჩხრიკეს გლეხი იმ იმედით, რომ ნაჩუქარ პატრონებს ვუპოვნით და რაიმე სარგებლობა შეიძლება ვნახოთო, მარა დახე მათ გაკვირვებას, როცა გლეხს პატრონები აღარ ამოაჩნდა. „ეს ჩვენზე უფრო ხერხიანი ყოფილაო“—ჩაილაპარაკეს ყაზახ-რუსებმა და გაბრუნდენ.

სოფ. ბზვანი. ყაზახ-რუსები ჩვენშიაც ძლიერ უწესოთ იქცევიან. ერთ სალამოს მიცვივდენ სადრაძისას, მოთხარეს ქვევრი და მთლათ წაღება უნდოდათ, მარა წაექცათ და გაუტყდათ. ღვინო რასაკვირველია დაიღვარა. მეორე ქვევრიდან ამოიღეს ორი ჭუთი ღვინო, ქვევრი ჩაამტვრიეს და დატოვეს. ჩვენ მახლობლათ, ვიღაც ტიღურაძის სახლიდან წაიღეს წიწილა ჩასახული კვერცხები და რა კი არ გამოდგა გზაზე გადაყარეს.

სოფ. დვაბზუ. ოცდა შვიდ მარტს ჩვენ სოფელში ყაზახ-რუსები დაეცენ მედუქნეებს; ორი რევოლვერი და ორი ბოთლი არაყი წაართვეს. ერთ მგზავრს თუთუნიანი ჩისა წაართვეს, ღვინიან ტიკში ხანჯალი უკრეს და ღვინო დაუღვარეს.

ერთი სიტყვით ასეთი ფაქტებით სავსეა გურიის დღევანდელი ცხოვრება. ხალხი, რომლის დამშვიდებასაც ბ-ნი ალიხანოვი თავის რეპრესიულ ზომებს აწერს, დღეს ასეთ უსამართლობას ითმენს; როგორ შეიძლები კაზაკებს ასეთი თავ-აშვებული საქციელი ჯარის მთავარ-სარდალმა არ იცო-

დეს, მარა უეჭველათ თითონაც თანაუგრძნობს მათ მოქმედებას. გურულებმა თავისი კეთილ გონიერება მრავალ საქმეში დაამტკიცეს, მარა გურიის ცხოვრება იმასაც მოწმობს, რომ ამ ხალხს დაუსრულებელი მოთმინება არა აქვს.

პროლეტარიატის როლი დღევანდელ მოძრაობაში.

I.

არც ერთ დროს და არც ერთ ქვეყანაში პროლეტარიატს არ მოუპოვებია ის მნიშვნელობა, როგორიც მან მოიპოვა დღევანდელ რუსეთის მოძრაობაში. როგორც ვიცით ყოველ მოძრაობას სათავეში უდგა ბურჟუაზია, რომელიც იყო ხელმძღვანელი და უმთავრესი მომქმედი ძალა; მშრომელი ხალხი კი წარმოადგენდა მარტო ფიზიკურ ძალას, რომლის საშუალებით ბურჟუაზია აღწევდა თავის უმთავრეს მიზანს—საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაბატონებას. ამის დასამტკიცებლათ საკმარისია კაცმა გაიხსენოს 1789 წელი, როდესაც საფრანგეთის ბურჟუაზიამ სასტიკი, სამკვდრო—სასიცოცხლო ბრძოლა დაუწყო ფეოდალებს. ბურჟუაზიას მხარი დაუჭირა მრავალ-ტანჯულმა მშრომელმა ხალხმა, რომელსაც პირდებოდენ ყოველ ნაირ უფლებას და თავისუფლებას. ხალხის დახმარებით დაამარცხა ბურჟუაზიამ ფეოდალები და გამოაცხადა საყოველთაო თავისუფლება, მაგრამ ეს უფლება ახალმა ბატონმა, ბურჟუაზიამ ათასნაირათ შეზღუდა. ისარგებლა ამ უფლებით მხოლოთ უმცირესობამ, მდიდრებმა და არა ყველა მოქალაქემ. თავისუფლება დამოკიდებული გახდა ნივთიერ შეძლებაზე. უმრავლესობის წყალობით გაიმარჯვა ბურჟუაზიამ, მაგრამ, გაბატონდა თუ არა, ამ უმრავლესობის ინტერესები დაივიწყა და ხალხის ახალი, სასტიკი მყვლეფელი გახდა. ხალხმა ვერ იგემა რევოლუციის ნაყოფი და ეს მოხდა მისი შეუგნებლობით, მისი მოუმზადებლობით. მაგრამ დრონი იცვლენ.. წინეთ თუ ბურჟუაზია უდგა სათავეში ყოველ გვარ მოძრაობას და პროლეტარიატი ბოლოში იყო მოქცეული, დღეს სწორეთ ეს პროლეტარიატი გადაიქცა უმთავრეს მომქმედ ძალათ; მან აამოძრავა ყოველი ნაწილი საზოგადოებისა და თვისი კლასობრივი მოთხოვნები გახადა უმთავრეს ღერძათ, რომლის გარეშემო ტრიალებს დღეს თავისუფლებისთვის ბრძოლა. რვა საათის სამუშაო დღე, ხელ-ფასის მომატება, მთელი წყება ეკონომიური გაუმჯობესებისა ვრცელ პოლიტიკურ მოთხოვნებთან ერთათ—აი მახლობელი მიზანი მუშათა მოძრაობისა.

რვა საათის სამუშაო დღე—ამ სიტყვებით გამოიხატება ქირით მომუშავე ადამიანის უფლება, რომელიც გადაიქცა დღევანდელი მოძრაობის დედა ბოძათ; ყველა ამ „უფლებას“ უთანხმებს დღეს თავის მოთხოვნებს; ყველას ერთი და იგივე აკერია პირზე—ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესობა. საჭიროა, რომ ამ „ქირით მომუშავის უფლებით“ გაიმსჭვალოს ყოველი მუშა, ეს უნდა გახდეს მის სოციალურ აზროვნების ანბანათ, რათა პროლეტარიატმა სავსებით შეასრულოს ის დიადი როლი, რომელიც მას ისტორიამ არგუნა—რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ძირიან-ფესვიანათ შეცვლა.

დღევანდელმა შეგნებულმა პროლეტარიატმა კარგათ იცის, რომ პოლიტიკური თავისუფლება სრულებით ვერ მოსპობს არსებულ სოციალურ უთანხმოებას. პოლიტიკური თავისუფლება მისთვის მხოლოთ საშუალებაა, ეკონომიური მონობიდან და ექსპლოატაციისგან განთავისუფლება კი—მიზანი. ამისათვის, თავისუფლება სიტყვისა, კავშირისა, კრებისა, გაფიცვისა, ხელშეუხებლობა პიროვნებისა და სახლ-კარისა წარმოადგენს პროლეტარიატისთვის მხოლოთ საშუალებას, რომლის წყალობით მან თავისი უმთავრესი მიზანი უნდა განახორციელოს. მიუხედავათ ამისა მხოლოთ მისმა თავგანწირულმა ბრძოლამ გამოაფხიზლა რუსეთი. ის აძლევს დღეს სიმხნეს და ენერგიას ბურჟაზიულ დემოკრატიას და უკარნახებს მას პოლიტიკურ გეგმას; მან წამოაყენა ფეხზე ქალაქის წვრილი მოვაჭრეები, გამოაფხიზლა ყოველი ქირით მომუშავე, გააღვიძა სოფელი და ყველა ამათ ალუძრა მტკიცე სურვილი ადამიანური ცხოვრებისა, თავისუფლების მოპოვებისა და კიდეც აჩვენა გზა. სტუდენტების, მოსწავლეების, ნოქრების და სხვების გაფიცვა გადაიქცა დღეს ჩვეულებრივ მოვლენათ. იბრძვის რა თავის ეკონომიურ და სოციალურ მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, პროლეტარიატი ულვიძებს ამ ნაირსავე სურვილს ყოველ მშრომელს, ყოველ, ასე თუ ისე, უკმაყოფილო საზოგადოების ელემენტს.

ვუკვირდები რა დღევანდელ, დიდებულ რუსეთის მოძრაობას ძალაუნებურათ მაგონდება თ. ნ. ტოლსტოის შემდეგი სიტყვები: „ძალიან ბევრსა ცდილობდა ერთ პატარა ადგილზე შეჯგუფული, რამოდენიმე ათასი კაცი დაემახინჯებია ის ადგილი, რომელზედაც ის ძლივს მოთავსებულიყო, გულ-მოდგინეთ კირწყლავდა ქვიშით მიწას, რომ მაზე არა მცენარე არ გაზრდილიყო, ჰგლეჯდა ახლათ აბიბინებულ მწვანე ბალახს, წამლავდა ჰაერს ქვა-ნახშირისა და ნავთის კვამლით, ჩეხდა ხეებს, აგდებდა გარეთ ცხოველებს და ფრინველებს, მაგრამ მიუხედავათ ყველა ამისა გაზაფხული თავისას შვრებოდა.

მზე ათბობდა, გაცოცხლებული ბალახი მწვანდებოდა და იზრდებოდა ყველგან...

იზრდებოდა, არა თუ მის საზრდელათ განგებ დატოვებულ ბაღის კვლებზე, არამედ ქვასა და ქვას შუაც კი ამოეყოთ თავი და გახარებულნი შეტრფოდენ ქვეყნის გაღვიძებას... ხეები იღვიძებდენ ღრმა ძილისაგან და ათას ფრათ ყვავოდენ... მტრედები, ბეღურები, ყვავები უკვე ამზადებდენ თავისთვის ბუდეებს“... მრავალ ტანჯულმა რუსეთის ხალხმაც გამოიღვიძა, შეიგნო თავისი აუტანელი მდგომარეობა, მოინდომა ახალი ცხოვრება და იცხოვრებს კიდეც.....

თან და თან ინგრევა დახავსებული, სულის შემხუთველი, ბიუროკრატიული სასახლე და ამ ნანგრევებში ნათლათ გამოსჩანს ახალი, თავისუფალი, კულტურული და დემოკრატიული რუსეთი....

კ. ჯ.

მემანქანეთა, მათ თანაშეწეთა, კონდუქტორთა, და მეისრეთა კრება.

10 აპრილს მესამე და საბოლოო კრება მოხდა. თავმჯდომარეობდა ბ-ნი დოლიძე, საბჭოს დარბაზი კვლავინდებურათ გაივსო. კრებამ გაიცნო გენერალ მალამას მიერ შემდგარი კომისიის დადგენილება. ამ კომისიას თავმჯდომარეობს გენერალ-მაიორი მიხაილოვი; წევრებათ არიან: თფილისის ქალაქის მოურავი ვერმიშევი, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ივანოვსკი, რკინის გზის ჟანდარმთა პოლიციის უფროსი პოლკოვნიკი სოლოვიევი, თფ. გუბერნატორის მოადგილე ალიშევსკი, მთავარ-მართებლის კანცელარიის ვიცე-დირექტორი ოსეცკი, კავკასიის სამხედრო ოლქის მეორე კორპუსის შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი ბერხმანი, კავკასიის რკინის გზებზე ჯარის გადაყვან-გადმოყვანის საქმის გამგე პოლკოვნიკი ნეიგებაუერი და თფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი ვეროვსკი, ეს კომისიამ 7, 8 და 9 აპრილს განიხილა მემანქანეთა მიერ არჩეულ დეპუტაციისგან წარდგენილი მოთხოვნილე-

ბანი და დაადგინა: „პირადობის ხელშეკრულობის“ გამო აღიძრეს შუამდგომლობა ნამესტნიკის თანამდებობის აღმასრულებელის წინაშე და ეთხოვოს დამტკიცება კომისიის მიერ შემუშავებულ შემდეგ რეზოლიუციისა: 1. მოაგონონ ყაზახ რუსებს აღარ გაიმეორონ გაფიცვაში მონაწილეობის მიმღებთა თვითნებური ცემა-ტყეპა მათრახებით. 2. ძალ-დატანებით სამუშაო მსახურთა და მუშათა გამოყვანა აღკრძალულია; ძალდატანებით სამუშაოთ გამოყვანილნი იქნებიან არა-ჩვეულებრივ შემთხვევების დროს კავკასიის უმაღლეს მთავრობის განკარგულებით და აგრეთვე იმ ადგილებში, სადაც შემოღებულია საომარ დროის წესები; 3. 11 თებერვალს შემოღებულ საომარ დროის წესების ძალით მოსამსახურეებსა და მუშებს ნება არა აქვთ სამსახურს თავი დაანებონ, წინააღმდეგ შემთხვევაში დაისჯებიან აღნიშნულ წესებისავე ძალით, მაგრამ რადგან კავკასიის ნამესტნიკის თანამდებობის აღმასრულებელმა დაავალა კომისიას, მოუსმინოს გაფიცულთა დეპუტატებს და გაათავოს საქმე ისე, რომ მალე აღდგენილ იქნას რკინის გზებზე წესიერი მიმოსვლა, კომისიამ სახეში მიიღო შუამდგომლობა გიფიცულთა დეპუტატებისა და შესაძლებლათ ცნო თხოვოს ნამესტნიკის თანამდებობის აღმასრულებელს არ მიიღონ ზომები საომარ დროის წესის ძალით ამ გაფიცვაში მონაწილეთა დასაპატიმრებლათ და ადმინისტრატიულ წესით დასასჯელათ, დაპატიმრებულნი განთავისუფლებულ იქნენ და არავინ სამსახურიდან არ დაითხოვონ, თუ გაფიცულნი განაახლებენ მუშაობას 10 აპრილის, ნაშუადღევის 2 საათამდე. ეს დადგენილებანი გენერალ-ლ. მალამამ დაამტკიცა და ამას გარდა გადაწყვიტა, თავის მხრივ იშუამდგომლოს გზათა მინისტრის წინაშე, რომ, რკინის გზის უფროსის თხოვნის თანახმათ, გადაიდოს 33.000 მან. საქონლის მატარებლის მემანქანეთა, მათ თანაშემწეთა და კონდუქტორთა დასაჯილდოებლათ, რათა ისინი წინათ მომხდარ გაფიცების დროს დაზარალდენ, ხოლო პირადათ კი მონაწილეობა არ მიუღიათ ამ გაფიცვებში; გარდა ამისა ნამესტნიკის თანამდებობის აღმასრულებელი აღძრავს შუამდგომლობას დაახლოვებით 100 ათასი მანეთის გადადების შესახებ, რომ ეს ფული მიეცეს ლიანდაგკბზე მოამსახურეთ და მუშებს. ის ფული განაწილებულ იქნება აღნიშნულ კომისიის მიერ მოსამსახურეთა და მუშათა დეპუტატების მონაწილეობით, თუ მემანქანენი, კონდუქტორები და სხვანი სამუშაოზე გავლენ 10 აპრილს ნაშუადღევის 2 საათამდე. ნამესტნიკის თანაშემწემ დაავალა აგრეთვე კომისიას, შეუდგეს განხილვას რკინის გზის მოსამსახურე ყველა მოთხოვნილებათა და თხოვნებისა.

გადაწყვეტილებათა ოქმის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარემ განაცხადა: როგორც ხედავთ, ყველა ჩვენს მოთხოვნილებას კომისია არ შეხებია და მხოლოთ რამდენიმე საჭიროა საკითხი განიხილა- ყოველივე ეს ჩვენ არ გვაკმაყოფილებს. მაგრამ ასე ნაჩქარევათ ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლებელია; პირველი ნაბიჯი გადავდგით ისე ნაყოფიერათ, რომ ჩვენის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ საუკეთესო გზას დავადექით და შემდეგში ჩვენი დღევანდელი თანხმური მოქმედება სრული თავდებია, რომ მას შევისრულებთ, რაც გვინდა. ახლა რაც მივიღეთ, ცოტა ნუ გგონიათ, ჩვენი წარმატებისაკენ ეს დიდი და ძლიერი ნაბიჯია. რაც შეეხება დანარჩენ მოთხოვნილებებს, კომისია განიხილავს და მგონი ერთი თვის შემდეგ დაამთავრებს კიდეც. ახლა, მე მგონია, დროა შევუდგეთ მუშაობას, რადგან სახეში უნდა მივიღოთ კავკასიის მცხოვრებთა ღარიბი უმრავლესობაო. კრებამ ყოყმანი დაიწყო, მაგრამ, კარგა ხანს კამათის შემდეგ ერთხმათ მიიღო წინადადება თავმჯდომარისა და გადაწყვიტეს, ნაშუადღევის 2 საათიდან გავიდენ სამუშაოთ. ზოგიერთებმა მოითხოვეს კრების წინაშე წამომდგარიყვენ, თავიანთი გვარები დაესახელებიათ იმ 30 კაცს, რომელნიც სხვებში გამოერჩენ, ფიცი გატეხეს და სამუშაოთ გავიდენ; ზოგმა მათი დასჯაც მოინდომა ზნეობრივათ. უმრავლესობამ უხერხულათ ცნო ამ საქმის განხილვა და დაკმაყოფილდა ერთის ორატორის განცხადებით, რომ ფიცის გამტეხთ, რაც ვთქვით აქ, ზნეობით სასჯელათ ის ეყოფათო. კრება ნაშუადღევის 2 საათზე დაიშალა.

თფილისის პედაგოგების კრება.

13 აპრილს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში მოხდა კრება თფილისის მასწავლებლებისა. კრებას დაესწრო დაახლოვებით 300-მდე ქალი და კაცი. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა არ. ბაბოვი.

თავმჯდომარემ აუხსნა კრებას სკოლის ახლანდელი მდგომარეობა და გამოთქვა ის აზრი, რომ სკოლის გასაუმჯობესებლათ საჭიროა ძირითადი რეფორმები სკოლის საქმეებისა; სკოლის რეფორმები მჭიდროთ დამოკიდებულია პოლიტიკურ რეფორმებთან. სკოლაში გამეფებულია თვითნებობა და ამით აიხსნება მისი ზნეობრივი და გონებრივი დაცემა. საჭიროა სკოლას ამ ნაირ მდგომარეობიდან დახსნა, მარა ვინ შეძლებს ამას. ახლანდელმა ბიუროკრატიამ, რომლის ხელშიაც დღეს სკოლა არის, დაკარგა ყოველ გვარი გავლენა, თვით პედაგოგებსაც გამოეცალათ ნიადაგი. და ამას ამტკიცებს დღევანდელი გაფიცვა მოსწავლე ახალგაზრდობისა. ჩვენი მიზანია გამოვარკვიოთ ის მიზეზები, რომლებმაც სკოლა ასეთ განსაცდელში ჩააგდეს. დღეს მთელი რუსეთის პედაგოგები და მშობლები აღიარებენ ახლანდელი სკოლის უვარგისობას, რასაც მოწმობს სხვა და სხვა რეზოლიუციები. (აქ თავმჯდომარემ წაიკითხა რეზოლიუციები ხარკოველ მშობლებისა, მოსკოველ პედაგოგებისა და პეტერბურგელ პროფესორებისა). შემდეგ თავმჯდომარემ მიმართა კრებას, რომ მსურველს თავისი აზრი გამოეთქვა.

ბ. ცვეტნიცკიმ წაიკითხა ვრცელი მოხსენება, რომელშიაც გამოარკვია სკოლის ამ ზომამდე დაცემის მიზეზები და ნათლათ დაახასიათა ახლანდელი მისი მდგომარეობა. ისტორიული მაგალითებით მან დაამტკიცა, რომ მთავრობა ყოველ გვარ ღონისძიებას ხმარობდა, რათა სწავლა-განათლება თავის პოლიციურ-ბიუროკრატიულ მიზნის გასახორციელებლათ გამოეყენებია, და არა ხალხის გონებრივათ და ზნეობრივათ გასავითარებლათ. იყო დრო, როცა ძველი ენები განდევნილი იყო, რადგან ძველი კლასიკური მწერლები მავნებლათ მიაჩდა თავის ინტერესებისათვის და ფილოსოფიას და ბუნების-მეტყველებას ებლაუჭებოდა. მაგრამ ალექსანდრე II-ს დროიდან მთავრობის ასეთი მიმართულება შეიცვალა. ახლა მის სათაყვანებელ საგნებათ გახდა ძველი ენები, და აი მან განდევნა ფილოსოფია და ბუნების-მეტყველება და სამაგიეროთ გაამეფა წინათ უარყოფილი კლასიციზმი. რუსეთის სასწავლებლებში გაჩდენ ყოვლად უბადრუკი მასწავლებლები ძველი ენებისა, რომელნიც ამახინჯებდენ როგორც ძველ კლასიკების აზრს, აგრეთვე რუსულ ენას. ასეთმა სისტემამ გარყვნა და დაამახინჯა ახალგაზდობა. მოხსენების დასასრულში ბ. ცვეტნიცკიმ დაამტკიცა, რომ მთავრობას კარგათ ესმის ახლანდელი სკოლის მდგომარეობა, მარა მის გასაუმჯობესებლათ არავითარ ზომებს არ ღებულობს, იგი სხვა და სხვა კომისიების დანიშვნით ატყუილებს საზოგადოებას, თვალს უხვევს მას და ამიტომ ჩვენ დღევანდელი მთავრობიდან არაფერს არ უნდა მოველოდეთ.

შემდეგ ბ. ჩიტაძემ წაუკითხა კრებას თავისი სიტყვა, რომელშიაც მაღალი ფრბზები ჰარბობდენ შინაარსს.

სიტყვა ითხოვა ბ. რატიშვილმა. ერთათ ერთ საშვალებათ, რომელსაც შეუძლია სკოლის ჟეზე წამოყენება ორატორი თვლის მხოლოთ დედა ენაზე სწავლებას. მისი სიტყვიდან ასე გაირკვა, რომ რუსეთში, სადაც დღეს სწავლება სამშობლო ენაზე წარმოებს, სკოლა შეენიერათ არის მოწყობილი და არავითარ რეფორმას არ საჭიროებს. ამის და გვარათ ის რთული საკითხი, რომელიც დღევანდელ წეს-წყობილების შეცვლასთან არის დაკავშირებული, ბ. რატიშვილმა ასე მარტივათ გადაჭრა.

ბ-ნ ცვეტნიცკიმ შემდეგ ის აზრი გამოთქვა, რომ დღეს, რეზოლიუციებს და პეტიციებს არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვთ, და ამიტომ საჭიროა პირდაპირ საქმის დაწყება. ჩვენ უნდა შევერთდეთ, შევკრათ კავშირი პეტერბურგელ ამხანაგების მაგალითისამებრ. ყველასათვის ცხადია, რომ აწინდელ მდგომარეობაში სწავლების გაგრძობა შეუძლებელია და თუ ძირითადი ცვლილება არ მოხდა საზოგადო წეს-წყობილებაში, მომავალ სექტემბრიდან პედაგოგები უნდა გაიფიცნენ. მარა მოსალოდნელია, რომ ეს ადარ დაგვჭირდება.

თავმჯდომარე თხოულობს რეზოლიუციის პროექტის მოსმენას. ამ დროს სიტყვას თხოულობს ერთი მუშათაგანი. თავმჯდომარე აძლევს სიტყვას და კითხულობს მის გვარს.

მუშა: მე ვცხოვრობ რუსეთში და ამისათვის საჭიროთ არა ვთვლი ჩემი ვინაობა გამოვაცხადო. სკოლის კითხვა მჭიდროთ შეკავშირებულია მუშათა კითხვასთან. დიდი ხანია, რაც რუსეთის ხალხი კვნესის და იტანჯება მძიმე მონობის ქვეშ. მარა დღეს მშრომელმა ხალხმა იცნო თავისი მტერი და მისი კვნესა მუქარათ იქცა. ვერც ცხე, ვერც გადასახლება და ვერც კატორგა ველარ ჩაახშობს მის მედგარ პროტესტის ხმას. პირიქით ყველა ეს ზომები კიდევ უფრო აწვევენ მას საბრძოლველათ. ყოველ წუთს უნდა მოველოდეთ, რომ ხალხი იგრიალებს და დაამსხვრევს იმ ბორკილებს, რომლებითაც იგი აქამდის ხელ-ფეხ შეკრული იყო.

თავმჯდომარე. გთხოვთ საგანზე ლაპარაკოთ: აქ ჩვენ სკოლის საქმეებზე შევიკრიბეთ. ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენ ინტელიგენტები ვართ, და ჩვენ კარგათ კვესმის თქვენი ლაპარაკი გთხოვთ სკოლაზე ილაპარაკოთ.

მუშა: მე სკოლაში აღზრდილი არა ვარ. ჩემი სკოლა ქუჩაა და თუ ლაპარაკის ნებას არ მომცემთ, გავჩერდები.

შემდეგ ორატორებში განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ქართმა მასწავლებელთა-განმა, რომელმაც ხელოვნურათ დაახასიათა ახლანდელი მასწავლებლები, გაკიცხა მათი სილაჩრე უფროსების წინაშე, ნაღლათ დაანახა კრებას, როგორ დაეკარგავს ახლანდელ პედაგოგს ყოველგვარი ადამიანური ღირსება. როგორ გულადობას იჩენს იგი მოსწავლეებთან და როგორი მხდალია უფროსების წინაშე.

თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ერთხმათ მიიღო შემუშავებული რეზოლიუცია, რომელიც ზევით გვაქვს დაბეჭდილი.

რედ.-გამომც. ი. ბ. როსტომაშვილი.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1905 годъ
(Седьмой годъ изданія)
на еженедѣльную газету
„ПРАВО“
выходящую безъ предварительной цензуры подъ редакціей пр.-доц. В. М. Гессена и Н. И. Лазаревскаго и при ближайшемъ участіи І. В. Гессена, пр.-доц. А. И. Каминка, проф. Л. І. Петражицкаго, по прежней программѣ.

Годовые подписчики получатъ въ качествѣ приложеній: *Сборникъ рѣшеній кассаціонныхъ департаментовъ и общаго собранія 1-го и кассаціонныхъ департаментовъ Правит. Сената.*

Редакція даетъ годовымъ подписчикамъ „*ПРАВА*“ безплатные отвѣты (въ количествѣ не болѣе 3-хъ) на юридическіе вопросы.

Въ „*Правѣ*“ помѣстили статьи слѣдующія лица: К. К. Арсеньевъ, проф. Берн. ун. В. І. Борткевичъ, пр.-доц. Ф. А. Вальтеръ. М. М. Винаверъ, проф. А. К. Вульфертъ, Л. В Гантоверъ, М. И. Ганфманъ, сен А. Г. Гасманъ, пр.-доц. М. Я. Герценштейнъ, проф. А. Х. Гольмстенъ, В. Голубевъ, пр.-доц. М. Б. Горенбергъ, О. О. Грузенбергъ, проф. А. Г. Гусаковъ, пр.-доц. Н. В. Давыдовъ, проф. Н. Л. Дювернуа, Г. Г. Евангуловъ, В. Б. Ельяшевичъ, проф. С. И. Живаго, проф. А. А. Жижиленко, Н. И. Іорданскій. проф. И. А. Ивановскій, сен. А. Ѳ. Кони, баронъ С. М Корфъ, Н. Е. Кудринъ, Н. И. Кузнецовъ, Г. А. Ландау, А. А. Леонтьевъ, В. О. Люстихъ, пр.-доц. І. В. Михайловскій, проф. С. А. Муромцевъ, В. А. Мякотинъ, проф. В. М. Нечаевъ, проф. П. И. Новгородцевъ, баронъ Б. Э. Нольде, проф. Берлн. ун. Др. Оертманнъ, проф. М. Я. Пергаментъ, О. Я. Пергаментъ, проф. А. А. Піонтковскій, П. А. Потѣхинъ, А. С. Пругавинъ, В. А. Пѣшехоновъ, И. М. Рабиновичъ, М. А. Рейснеръ, Ѳ. И. Родичевъ, проф. Н. Н. Розинъ. В. И. Семевскій, Б. Д. Спасовичъ, М. А. Стаховичъ, И. М. Страховскій, сенаторъ Н. С. Таганцевъ, Е. Н. Тарновскій, проф. кн. Е. Н. Трубецкой, проф. кн. С. Н. Трубецкой, пр.-доц. В. М. Устиновъ. проф. И. И. Фойницкій, В. В. Хижняковъ, проф. П. П. Цитовичъ, проф. Н. М. Цытовичъ, пр.-доц. Л. В. Шалландъ, проф.. Г. Ф. Шершеневичъ, Гр. И. Шрейдеръ. Г. Н. Штильманъ. И. Г. Щегловитовъ и др.

Поставивъ въ числѣ своихъ задачъ ознакомленіе читателей съ существующей судебною и судебно-административной практикою, а также разработку этой послѣдней, „Право“ удѣляетъ широкое мѣсто судебнымъ отчетамъ, а также разбору рѣшеній, приговоровъ и административныхъ постановленій, представляющихъ принципіальный интересъ. Отчеты о всѣхъ дѣлахъ, разсмотрѣнныхъ въ кассаціонныхъ департаментахъ Правительствующаго Сената, печатаются въ ближайшихъ послѣ засѣданій номерахъ.

Въ Справочномъ отдѣлѣ печатаются: алфавитный списокъ лицъ несостоятельныхъ, ограниченныхъ и освобожденныхъ отъ ограниченія въ правоспособности; алфавитные списки уничтоженныхъ довѣренностей; списки дѣлъ, назначенныхъ къ слушанію въ Прав. Сенатѣ, а также и *резолюціи* по заслушаннымъ въ Сенатѣ дѣламъ.

Подписная цѣна: на годъ съ доставкой и пересылкой 7 руб., на полгода 4 руб. Допускается разсрочка: при подпискѣ 4 руб. и къ 1 мая 3 р. За границу на годъ—10 руб. Отдѣльные нумера продаются по 20 к.

ГЛАВНАЯ КОНТОРА: *С.-Петербургъ, Загородный пр. № 2, при юридическомъ книжномъ складѣ „ПРАВО“.* Складъ высылаетъ всѣ имѣющіяся въ продажѣ книги по вопросамъ правовѣдѣнія и обществовѣдѣнія. Подписчики „Права“ пользуются при выпискѣ частныхъ изданій скидкой въ размѣрѣ 5%.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16-го апрѣля 1905 г.

სტამბა ე. ი. ხელაძისა. რუსის ბაზარი, სახლი სომხ. სას. სემ.